რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 24 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საშლვარ გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 104 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 104

ძმები ტარასი და ფილიმონ, რძალი სოფიო, დები: ები, მარო, აგრაფინა და ლუბა, სიძე ილია სპირიდონის ძე გუგუშვილი ღრმათ დამწუხრებული აუწყებთ ნათესავთ და მეგობართ, რომ უდროვოთ დაკარგულ საყვარელ ძმის

ხუტუ (გრიგორი) სოლომონის ძე სპრინჯველის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი სოფელ ონტოფოს თავარანგელოზის ეკლესიაში კვირას, 26 მაისს.

გაუბედურებული მშობლები ნინო და ვახტანგ კალანდაძეები, დამწუხრებული ძმა უშანგი, გულდამწვარი ნათლია ესმა კალანდაძისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უეცრათ გარდაცვალებას საყვარელი

ჟ უ ლ ი ე ე ტ ა ს ი,

რომლის დასაფლავება მოხდა 23 მაისს, დაბა ხიდისთავში.

## მსოფლიო ომი და ჩვენი დემოკრატია

მსოფლიო ომი მთელი თავის საშინელებით არასოდეს ასე რეალურად არ დამდგარა ჩვენი ხალხის წინაშე, როგორც დღეს. არასოდეს ასე [illegible] არ ყოფილა ის საშინელი სისხლის [illegible], რომელსაც მილიონობით შეეწირა ადამიანთა სიცოცხლე და ბედნიერება, განადგურებული სოფელ-ქვეყნები—დამწვარი და აოხრებული ქალაქები მოწმობენ ამ ველურობის [illegible] საფრთხეს.

და დღეს ჩვენი პატარა კუთხეც, რომელიც აქამდე მხოლოდ ომის ზურგს წარმოადგენდა, ომის პირდაპირ ასპარეზათ ხდება. ყოველი მხრიდან შემოსეული მტერი გვემუქრება. საზავო მოლაპარაკება, რომელსაც ადგილი აქვს ბათუმში, ვერავითარ გარანტიას ვერ მოგვცემს იმისას, რომ მტრის მახვილი კვლავ არ აღიმართება ჩვენი ქვეყნის თავზე. პირიქით უკანასკნელი ამბები—ალექსანდროპოლის აღება და თფილისისკენ გამოლაშქრება ოსმალთა ჯარისა, საუკეთესოთ მოწმობს იმას, რომ ეს მახვილი უკვე აწოწვდილია, და მუხანათურათ ჩვენს სვე-ბედს, ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს არსებობას ემუქრება. ჩვენი უპირველესი სურვილი —ომის ალიდან თავი დაგვეღწია, ვერ ხორციელდება. იმპერიალისტთა გაუმაძღარი ძალის დაოკება, საერთაშორისო საომარი ცეცხლის ჩაქრობა ადგილობრივათ, ერთ კუთხეში ფუჭი ოცნებათ დარჩა. მთელი ჩვენი ენერგია ზავისკენ, სჩანს უნაყოფოთ მიდის. მსოფლიო ომი კვლავ გვითრევს თავის კლანჭებში. იარაღი ერთათ ერთი საშუალება-ღაა თავის დასაცველათ. უამისოთ განსაცდელის თავიდან აცილება შეუძლებელია.

მაგრამ არის მეორე გარემოება, რომელიც ერთი-ორათ ართულებს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. ესაა ჩვენი ხალხის სიმცირე.

პატარა ერების ბედი, ეს ნავის ბედია, რომელიც დიდ ხომალდს გამოაბეს. ჩვენი ქვეყანა რუსეთის დიდ გემზე იყო მიბმული. მაგრამ გემის ლამსხვრევის ჟამს ნავი მას მოწყდა და ახლა განმარტოებული დაცურავს აზვირთებულ ტლვის უთვალავ ტალღებ შორის.

მუშაობა და შემოქმედება ასეთ პატარა ერის დემოკრატიისა, რომელსაც ასეთ საბედისწერო მომენტში ხვდა წილათ ქვეყნის ცამგებლობა, მის ბედ-იღბლის პასუხისმგებლობა—ერთი ათათ გაძნელებულია. მას აქვს ენერგია, თავდადება, ერთგულება თავის ხალხის. იგი მთელი თავის მცირედი ძალით შეუპოვრათ ებრძვის ყველა დაბრკოლებებს, იგი თავის სიცოცხლეს სდებს ხალხის კეთილდღეობის საკურთხეველზე, მაგრამ მისი გამარჯვება მხოლოდ მთელი ხალხის ერთსულოვნობაზეა და სწორი საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებაზე დამოკიდებული. მისი ენერგია მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არ იქნება უნაყოფოთ დაკარგული.

საქმე იმაშია, რომ ბოლოს და ბოლოს თავის საკუთარი ძალით პატარა ერებს არ შეუძლიათ ამ დიდ ომს გაუძლონ. ეჭვი არაა ბოლოს და ბოლოს ისინი ამა თუ იმ ძლიერ სახელმწიფოების ხელში ჩივარდებიან. მაგრამ თუ ენერგია დემოკრატიის, თუ გონიერება და შორს მჭვრეტელობა მისი მეთაურების სრულ განაგზავრებს და აოხრებას მაინც აცდენს ხალხს—შესაფერი მფარველის აღმოჩენით, და ბრძოლის უნარს და ენერგიას რაციონალურათ გამოიყენებს, იქ იბრძოლებს, სადაც მას სხვა გზა არ აქვს და იქ დაიხევს, სადაც ბრძოლა უფრო საზარალო იქნება, ვინემ დათმობა— ეს იქნება უდიდესი ღვაწლი ერის და დემოკრატიის წინაშე.

ძნელია თავდებობა იმის, რომ პატარა ერები დიდ სახელმწიფოთა ომის დროს შუაში არ გამოიჭყლიტება, ძნელია წინასწარმეტყველება იმის, რომ მცირე ერებს ესა თუ ის იმპერიალისტური სახელმწიფო საბოლოოთ არ გაიგდებს ფეხ-ქვეშ გასათელათ, მაგრამ სანამ ერს, ხალხს, დემოკრატიას სასიცოცხლო ძალა შერჩენია, იგი თავის არსებობას ყოველის ღონისძიებით უნდა იცავდეს.

და ჩვენ გვწამს, რომ რევოლიუციური დემოკრატია ჩვენი ქვეყნისა, რომელიც ასეთი გაბედულებით და გამჭრიახობით იბრძოდა მთელი ამ რევოლიუციის განმავლობაში, ახლაც ამ უკანასკნელ, ისტორიულ ჟამსაც თავის სიმაღლეზე იდგება და ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ იგი ღირსია თავისუფალ ცხოვრების და იმ აჟანგარიდის სახელის, რომლითაც იგი დღევანდლამდე ამაყობს.

## ჩვენი პოლიტიკა

დღეს უდიდესი გასაჭირი ადგია ჩვენს ქვეყანას და ხალხის ამ უდიდეს განსაცდელის ჟამს მოიპოვებიან პარტიები და ჯგუფები, რომელნიც პირად ანგარიშების გასასწორებლათ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან და ხალხის გაჭირვებით ვაჭრობენ.

ორი მთავარი ბანაკი გაჩნდა ამ კითხვის გარშემო, ორი მიმართულება ეჯიბრება ერთმანეთს ხალხის გაჭირვების ექსპლოატაციაში. ერთი ბანაკი, რომელსაც სომეხი და რუსი ნაციონალისტები შეადგენენ და რომელსაც უმთავრესათ მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერები, კადეტები და ბოლშევიკები მეთაურობენ, ცდილობს დაარწმუნოს ხალხი, რომ ქვეყანა დაღუპეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოცალკევებას. მეორე ბანაკი, რომლის უკიდურესს გამომხატველს ნაციონალ-დემოკრატები წარმოადგენენ და რომელსაც ეჭვი არაა თათრის ბეგები თანაუგრძნობენ, ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოს დიდი ხნით ადრე უნდა გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და ამით ის მოსალოდნელ საფრთხეს თავიდან აიცდენდა.

საჭიროთ არ მიგვაჩნია პირველ ბანაკის მოღვაწეებზე დიდი ხნით გაჩერება: დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვივიწყნია საერთო ფრონტის ინტერესები, ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ რუსეთთან დავრჩენილიყავით და მოვშორდით მას მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ ვერც ერთს სალდათს და ვერც ერთ გირვანქა პურს ჩვენ იქიდან ვერ მივიღებთ. პირიქით ჩვენ დაბნევით გვემუქრებოდა სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობა, რომელიც დღესაც განაგრძობს თავის აგრესიულ პოლიტიკას და დღეს თუ ხვალ ჩვენს წინააღმდეგ აშკარათ გამოილაშქრებს. იმდენათ შეუსაბამო და ველური ბოლშევიკ-კადეტ-ესერების თვალთმაქცობის ისარი, რომ მასზე შეჩერება არც კი ღირდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს შეგნებული თუ შეუგნებელი იმპერიალისტები დამღუპველ პრაქტიკულ ნაბიჯებზე გვითითებენ და რომ ეს შეიძლონ მათ, ეჭვი არ არის ხალხის ფიზიკურ არსებობას დიდს საფრთხეში ჩააგდებენ. ეს ავანტიურა იმდენათ ძლიერია, რომ 22 მაისის სხდომაზე თფილისის ქალაქის საბჭოში კადეტი ხვმიონოვი, მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერი ხუდადოვი და ზოგიერთი სხვები გადაჭრით მოითხოვდნენ ისევ რუსეთის ფარგლებში დაბრუნებას და სხდომაზე დამსწრე გარეშე საზოგადოების ერთი ნაწილი გაცხარებით ტაშს უკრავდა ამ მოთხოვნას. არა გვგონია, რომ დაღლილ და შეშინებულ მოქალაქს შეცდომაში შეყვანა რიგიან პოლიტიკურ მოღვაწეს ეპატიებოდეს მით უფრო, რომ აღმოსავლეთ ამიერ კავკასიაში უკვე შემოსულია ოსმალეთის ჯარი ადგილობრივ მუსულმანთა თანხმობით და დახმარებით და ასეთ დროს რუსეთისაკენ მოწოდება—ეს ნიშნავს ეროვნულ შუღლის გაღვივებას და ხოცვა-ჟლეტისათვის ხელის შეწყობას.

ჩვენი მტრების მეორე ბანაკი, როგორც ვთქვით, სულ წინააღმდეგს ბრალდებას გვიყენებს: რატომ შარშან არ გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა. ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „საქართველო": „ქართველმა მენშევიკებმა ვერ შექმნეს ამიერ-კავკასიის ძლიერი „დემოკრატიული ფრონტი", რომელიც არავისთვის საჭირო არ იყო, გარდა მათი პარტიისა. ამ პოლიტიკამ თათრებს დიდი უსიამოვნება მიაყენა. ამან გამოიწვია ჩვენთან მათი ტრადიციული მეგობრული განწყობილების გაფუჭება. ამან აიძულა ისინი უფრო და უფრო დაახლოვებოდნენ ოსმალეთს, რომ მათ სოციალისტურ ბატონობისაგან დაეხსნათ თავი... ყველა მეზობლები გადაჰკიდა და ჩამოაშორა ამ ერთი წლის უცნაურმა პოლიტიკამ".

რისთვის დასჭირდათ ნაციონალ-დემოკრატებს ასეთი უსაბუთო ბრალდების წამოსროლა? ნუ თუ თითონ მათ სჯერათ, რომ საქართველოს გამოცალკევების გამოუცხადებლობამ გამოიწვია „ტრადიციულ" მეგობრულ განწყობილების გაფუჭება თათრებთან? ნუ თუ „საქართველომ" არ იცის, რომ ოსმალეთის გაბატონებულ წრეებთან არასოდეს მეგობრული განწყობილება არ ჰქონდა ჩვენ ხალხს და პირიქით ოსმალეთის დემოკრატიასთან, რამდენათაც ეს დემოკრატია არსებობს, არასოდეს უსიამოვნება არ მოგვსვლია. ყველაფერი ეს იცის გაზეთმა „საქართველომ", მაგრამ მაინც ამახინჯებს სინამდვილეს და საქვეყნოთ აცხადებს:

„ქართველ ერს ჰქონდა საშუალება თავიდან აეცდინა ეს საშინელება. მას შეეძლო მფარველის, დამხმარეს გამოძებნა, მაგრამ ეს შეუძლებლად მიიჩნიეს გაბატონებულმა პარტიებმა. დღეს მათ უნდა მისცენ ანგარიში ქართველ ერს საით მიჰყავდათ ის და სად მიიყვანეს".

ჩვენ არა მარტო ანგარიშს ვაძლევთ ქართველ ერს, ჩვენ ქართველი ერის სურვილისამებრ ვმოქმედებთ და სწორეთ ქართველ ერის, მისი დემოკრატიის სურვილი იყო რუსეთთან დარჩენილიყო და მის დემოკრატიასთან ერთობაში ეძებნა მფარველობა. როცა რუსეთის დემოკრატია ჰორიზონტიდან გაჰქრა, ჩვენ გამოვაცხადეთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, რომელიც ადგილობრივ ერების დემოკრატიის ინტერესების საუკეთესო მფარველია. და თუ ერთის მხრით სუსტი გამოდგა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ნაწილი, ხოლო მეორეს მხრით ჩვენს წინააღმდეგ უცხო მტერმა გამოილაშქრა, ეს არ არის დანაშაული. დანაშაული იქნებოდა პირიქით ის, რომ ჩვენ ხელოვნურათ დაგვესუსტებია ამიერ-კავკასიის დემოკრატია მისი დაშლით, საქართველოს გამოყოფით და ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადებით, რასაც ნაციონალ-დემოკრატები თათრის ბეგებთან ერთად დიდი ხანია ეტრფიან.

ხალხს ღალატობდა და საერთო საქმეს ღუპავდა არა ის, ვინც დემოკრატიის შეერთებას ცდილობდა, არამედ ის, ვინც გაბატონებულ კლასების გულისათვის ხალხის გათიშვას უწყობდა ხელს. ამ გათიშვის ნაყოფია ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა, რომელიც ასე ახარებს ჩვენს ნაციონალისტებს.

## ვის მოაქვს რეაქცია?

ამიერ კავკასიის და კერძოთ ქართველი დემოკრატია ვერ გასტეხა შინაურმა რეაქციამ. ვერც ჩვენ მემამულეთა პარტიის გამუდმებულმა აგიტაციამ, ვერც ბოლშევიკების სისტემატიურმა აჯანყებებმა და დაუსრულებელმა ცილისწამებამ ვერ შეარყიეს ხალხის, დემოკრატიის გული და რევოლიუციურ გზას ვერ გადააცდინეს.

სამაგიეროთ გარეშე მტრის ძალის შემოსევა მათ თავის გამარჯვების იარაღათ გამოაცხადეს და ქვეყნის უბედურებაზე და აოხრებაზე სურთ თავის ბედნიერება ააგონ.

ახლა შეიძლება უკვე საბუთებით ხელში დავამტკიცოთ, რომ ბოლშევიკების უგუნურება იქამდე მივიდა, რომ მათ სერიოზულათ სურდათ მობილიზაციით და ომის საშინელებებით ესარგებლათ თავის ბატონობის გასამტკიცებლად ამიერ-კავკასიაში. მართალია თავის მიზანს ვერ მიაღწიეს, გაბატონებისათვის სუსტი გამოდგნენ, მარა სამაგიეროთ რევოლიუციური დემოკრატია იმდენათ დააუძლურეს, რომ გარეშე მტრის შეჩერება ვეღარ შეძლებოდა. ამ რიგათ, ნებსით, თუ უნებლიეთ, ეგრეთ წოდებულმა იდეიურმა ბოლშევიკებმა მტრის გასახარელი საქმე ჩაიდინეს, ხოლო მათში შეპარულმა და გაძლიერებულმა, მოსყიდულმა პროვოკატორებმა და ძველ რეჟიმის მოტრფიალეებმა—განზრახ ქვეყნის დამხობას ხელი შეუწყვეს.

ასეთი იყო ამ მემარცხენეთა მოქმედების ობიექტიური შედეგები ჩვენს ცხოვრებაში. მეორე მხრით არა ნაკლებ ცდილობდნენ ქვეყნის დასუსტებას და შემოსეულ მტრისათვის დამორჩილებას ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები. მათი იდეალი—ეს ჩვენშიაც ფაშების წყობილების შემოღებაა. ამ მიზნით იგინი ყოველ ფეხის გადადგმაზე ცდილობენ დემოკრატიის და მის მეთაურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელი გაუტეხონ.

აღსანიშნავია, რომ რამდენათაც მტერი მეტის ძლიერებით მოიწევს ჩვენი საზღვრების შიგნით, იმდენათ ამ ვაჟბატონების კილო წერისა უფრო შეუწყნარებელი ხდება. ისინი გრძნობენ, რომ რეაქციის სუსხიანი ქარი ოსმალეთის ხიშტების წვერზე მოდის და თუმცა ეს მთელ ხალხს უსაშინლეს უბედურებას უქადის, მაგრამ მათთვის ეს მაინც სიამოვნების მომგვრელია. კლასობრივ ინტერესებს ისინი მზათ არიან მთელი ერის უმრავლესობის ინტერესები საფსებით ანაცვალონ. და ამავე დროს მათ სურთ თავის რეაქციონური ზრახვანი—ხალხის სახელით გასაღონ, ხალხის ინტერესებათ მოაჩვენონ გულუბრყვილო მკითხველს. მაგრამ ქართველი დემოკრატია, ქართველი მუშა და გლეხკაცობა არც ისე უგუნურია, რომ შავი თეთრისაგან ვერ გაარჩიოს.

მას არა ერთი და ორი გაჭირვება გამოუვლია თავისუფლებისთვის ბრძოლაში. არა ერთხელ გადაუტანია საშინელი დარბევა-აწიოკება ხალხის მტრებისაგან. მაგრამ გული საბოლოოთ არასოდეს არ გასტეხია.

და დღესაც, რაც უნდა დიდი გასაჭირი დაადგეს ქართველ ხალხს, რაც უნდა საწამებელი გაუჩინონ მას ოსმალეთის შემოსვლის მოტრფიალეებმა, იგი მაინც თავის გზას არ დაკარგავს, თავის წმინდა იდეალებს არ დაივიწყებს. მძიმე და ძნელია ბრძოლის გზა. დიდ მსხვერპლს თხოულობს იგი. მაგრამ მუშათა კლასი და საერთოთ დემოკრატია ბოლოს მაინც მიაღწევს თავის საწადელს და განახორციელებს თავის გულის ნადებს. ამიტომ უდიდეს განსაცდელის წინაშე ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, როგორც არ დაგვიკარგავს ის ნიკოლოზ მეორის შავბნელ რეაქციის ხანაში. გამარჯვება ბოლოს მაინც ხალხისაა და არა ხალხის მტრების.

## პრესა

ბ. სამ. ფირცხალავა „სახალხო საქმეში" ეხება საკითხს: რათ გვიღალატეს აჭარლებმა, ის ასწერს აჭარელ ტყვეებთან შეხვედრას და ასე გამოსთქვამს თავის შეხედულებას: „ვუცქერი, ვუცქერე და მწარედ დავღონდი. თვალწინ წამომიდგა მათი მწარე წლები. ის წამება, რომელიც იყო მათი ბედი, ის ტანჯვის მძიმე, აუტანელი პროცესი გადაგვარებისა, რომელიც გამოიარეს და რომელმაც მიიყვანა ესლანდელ მდგომარეობამდის.

განა ნებით გაჰყვნენ ამ გზას? რამდენი ცრემლი და სისხლი დაიღვარა, ვიდრე ასეთ მოღალატენი შეიქნებოდენ თავის დედის და ძმებისა".

საუბედუროთ ამ სიტყვებში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს პოეზიას და თვით ბ. ფირცხალავას ცრემლები უფრო სჩანს, ვინემ მოღალატე აჭარლების. მაგრამ საინტერესოა ის, თუ ვის სდებს ბრალს ბ. სამ. ფირცხალავა იმაში, რომ აჭარლების ღალატი შესაძლებელი გახდა:

„მცირედი არაა ჩვენი დანაშაული, თანამედროვე ქრისტიან ქართველებისა. თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება არ მივაქციეთ სამაჰმადიანო საქართველოს მდგომარეობას, ენერგიულათ არ მოვკიდეთ ხელი საქმეს და რაც გავაკეთეთ არ კმაროდა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულ ნაწილების გასაერთიანებლათ.." და ასე დაუსრულებლივ გოდებს ბ-ნი სამ. ფირცხალავა ჩვენს აჭარლების წინაშე ჩადენილ ვითომდა დანაშაულობაზე.

მართლა მიგვიძღვის რაიმე დანაშაული აჭარლების წინაშე? არა გვგონია, რადგან, პირიქით, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა. ეს კარგათ იცის ბ-ნმა სამ. ფირცხალავამაც, მაგრამ მას სულ სხვა აწუხებს. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო დიდი ხანია უნდა ჩამოშორებოდა რუსეთს და მაშინ ჩვენ აჭარლებიც არ გვიღალატებდნენ. აი მისი სიტყვებიც:

„ცხადია ჩვენს ძმებს იმდენად ჩვენი შიში და უნდობლობა არ ჰქონდათ, რამდენათ რუსეთის. მათთვის ჩვენ და რუსები თითქოს მთლიან ერთეულს წარმოვადგენდით და სიძულვილი რუსებისადმი ჩვენზედაც გადმოიტანეს. ჩვენ რომ ადრევე გარკვეულ ეროვნულ გზას დავდგომოდით და საკუთარი სახე გვეჩვენებია ჩვენი მაჰმადიანი ძმებისათვის, შესაძლებელია არ მომხდარიყო, რაც მოხდა და მეტის ნდობით მოეპყრობოდენ მაჰმადიანი ქართველები საერთო საქმეს".

ასე პოეტურათ ასაბუთებს ბ. სამ. ფირცხალავა ამ უტოპიურ აზრს. უნდა ადრევე გაგვეცლოდით რუსეთის დემოკრატიას, საკუთარი სახე გვეჩვენებია აჭარლებისთვის, და იქნებ საერო საქმეში ჩაბმულიყვნენ ისინი?

ბ. ფირცხალავას ავიწყდება, რომ ერთიან ქრთგულათ ემსახურებოდნენ თვითმპყრობელურ რუსეთს აჭარელი ბეგები და შეუგნებელი ხალხიც მათ მისდევდა. დღეს იგივე ბეგები სოციალურ რეფორმებით უკმაყოფილონი ოსმალეთს მიეკედლენ და შეუგნებელი ხალხი ისევ მათ გაჰყვა.

გამოდის, რომ საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის გამოცხადება აჭარის ბეგებსა და ხალხს შორის შუღლს ჩამოაგდებდა და ხალხი ჩვენთან შეერთების საჭიროებაში დარწმუნდებოდა.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

## ოფიციალური რუსეთი და ამიერ-კავკასია

ა. ილინისაგან შემდეგი წერილი მივიღეთ: „ერთ დროს ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ მთავრობის ორგანოთა ფურცლებზე სასტიკ კომპანიას აწარმოებდენ, რასაც მარტო „საარტილერიო მომზადება" უწოდა.

უმთავრესად ამხედრებული იყვნენ ამიერ-კავკასიის სეიმის და კომისარიატის წინააღმდეგ. მთავრობის პარტიამ ფართოთ ისარგებლა თფილისში მომხდარი ამბებით. ბრალს სდებდენ სოც.-დემოკრატებს მუშების დახვრეტაში, სწერდენ კიდეც, თითქოს სოც.-დემოკრატებს სეიმის წინ საჩხუბელა ალყაშემორტყმა რომელზედაც შაუმიანის ჩამოხრჩობა ჰქონდათ აზრათ.

რომ გამერკვია საქმის ვითარება, მე რამდენიმე წერილი დავბეჭდე ამიერ-კავკასიის შესახებ. ჩვენ საკუთარი პრესა არ გვქონდა, მაგრამ თავაზიანათ დამითმეს სოც.-დემ. ცენტრალური ორგანოს—„ვპერიოდ"-ს ფურცლები.

მოვათავსე შემდეგი წერილები: „ზავი და ამიერ-კავკასია", „ქალა პროტესტს აცხადებს", „ამიერ-კავკასია", „ოფიციალური რუსეთი სამშობლოს წინაშე", „ახალი გამოცდები", „სიცოცხლისათვის ბრძოლის უფლება" და სხვ. რამდენიმე შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილებმა რამდენიმეთ გაჰფანტეს ის ბურუსი, რომელშიაც ბოლშევიკებმა მუშები გახვიეს.

ამიერ-კავკასიის შესახებ მე ვლაპარაკობდი მიტინგებზე, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა ადგილებში.

7 აპრილს მოწვეული იყო ბოლშევიკების მიერ საპროტესტო მიტინგი მენშევიკების სიმხეცის (!) წინააღმდეგ, რომელ მიტინგზედაც მეც გამოვედი, მაგრამ მე იქ არ დამამთავრებიეს სიტყვა, რასაც ვამთავრებ გაზ. „ვპერიოდ“-ში. ამასთან ერთად გიგზავნით „ვპერიოდ“-იდან ამოჭრილ ჩემს წერილს, საიდანაც დაინახავთ, თუ რა საშვალებებს არ მიმართავს ეს ხალხი...

მე სოც.-დემ. პრინციპიალური მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ სოციალისტის და რევოლიუციონერის ვალი იძულებულს მხდიდა პასუხი გამეცა იმ წასისინებისთვის, რასაც აწარმოებდენ ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ მეც ამიერ-კავკასიელი ვარ“.

---

აქვე მოგვყავს „ვპერიოდ“-იდან ა. ილინის შემდეგი წერილი:

„საპროტესტო მიტინგის უმცირესობამ, რომელიც 7 აპრილს იყო მოწყობილი ბოლშევიკების მიერ, მე არ მომცა საშუალება დამეთავებია ჩემი სიტყვა, მიუხედავათ იმისა, რომ კრების დიდმა უმრავლესობამ მე ამის უფლება მომცა.

რასაკვირველია, მე პროტესტს არ ვაცხადებ, უარესიც მომხდარა, მაგრამ იმ მუშებისათვის, რომელთაც ხელის აწევით ჩემი სიტყვის მოსმენის სურვილი გამოთქვეს, მე დავასრულებ ჩემ სიტყვას პრესის საშუალებით.

მე ვსთქვი ვინ არის დამნაშავე თფილისში მომხდარ 10 თებერვლის ამბებში და ღრმათ მწამს, რომ განსაკუთრებულმა საგამომძიებლო კომისიამაც ის თქვა, რაც მე. მაგრამ რა შუაშია აქ მენშევიკები და მით უმეტეს ს.-რევოლიუციონერები, რომელთა წინააღმდეგ ასე გამძაფებით გამოილაშქრეს ლენინმა და პოდვოისკიმ?

პასუხი აშკარაა: ეს უბრალო დემაგოგია. მიაქციეთ ყურადღება ლენინის სიტყვას: უმთავრესად ის ამბობს თფილისის სახრჩობელაზე, რომელიც აღმართული იყო შაუმიანისთვის.

განა ეს აბსურდი არ არის?

მართალია სახრჩობელა იყო გაკეთებული, მაგრამ არა სეიმის და კომისარიატის წინ და არა მენშევიკების მიერ, როგორც ამბობს ლენინი, არამედ თათრების „მოედანზე“ თათრების მიერ, რომელიც იმავ დღეს კომისარიატის განკარგულებით მოხსნილ იქნა.

გარწმუნებთ, რომ ამიერ-კავკასიის მენშევიკები უფრო აღშფოთებულნი იყვნენ ამ მხეცური მოქცევით, ვიდრე ბოლშევიკები, რომლებმაც „ანეგდოტი“ სინამდვილეთ მიიღეს.

განა თვითონ ორატორს სწამს ამის სიმართლე?

რასაკვირველია, არა.

მენშევიკური სახრჩობელა საჭირო იყო, ის უნდა შექმნილიყო სოციალიზმის სახელით...

პოდვოისკის სიტყვა განა ჭეშმარიტების დაცინვა არ არის?

ის გროზნის ამბების შესახებ ბრალს სდებს ჟორდანიას, გეგეჭკორს და ჩხეიძეს და ამბობს, რომ მენშევიკებმა ჟორდანიამ და სხვებმა გაგზავნეს მუსულმანები გროზნოს დასარბევათ და ყუბანის გლეხების გასანადგურებლათო.

პოდვოისკიმ, ალბათ, არ იცის, რომ გროზნო და ყუბანი შედიან ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ამიერ-კავკასიასთან და არც ამიერ კავკასიის კომისარიატს ქონდა საშვალება თავისი გავლენა გაეტარებია იქ.

მაგრამ, მე მგონია, რომ პოდვოისკიმ ყველაფერი ეს კარგათ იცის, მაგრამ ჟორდანიასი, გეგეჭკორის და ჩხეიძის „დანაშაული“ საჭირო იყო, ის უნდა შეექმნათ... სოციალიზმი თხოულობდა ამას...

მე ვერ დავიცავ პროლეტარიატის პარტიას და მშრომელ გლეხობას, მისი საუკეთესო დამცველია გმირული წარსული, რომელსაც დღესაც იცავენ და არ ღალატობენ.

ლენინ და პოდვოისკის არ ქონდათ არავითარი საბრალმდებლო საბუთი ს. დ. და ს. რ. პარტიების საწინააღმდეგოთ, მაგრამ მაინც ბრალი დასდვეს, რომ მით საშიში კონკურენტებისათვის მასსაში სახელი გაეტეხათ მოსკოვის მუშათა საბჭოს ხელ-ახალი არჩევის დროს.

ესეც მოიმოქმედეს სოციალიზმის სახელით.

მაგრამ მარტო ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდენ ორატორები, როცა ბრალს სდებდენ ზემოთ ნახსენებ პარტიებს, ჩემის აზრით ეს იმ „საარტილერიო მზადების“ გაგრძელებაა, რომელზედაც წერდა ამხ. მარტოვი.

აი ამიტომ, სანამ საპროტესტო მიტინგის რეზოლიუციას ხელს მოაწერდეთ და ქვას ესროდეთ „კონტრ-რევოლიუციონურ“ ამიერ-კავკასიას, უნდა დაფიქრდეთ ამის შედეგებზე, უნდა დასვათ საკითხი: იქნება თუ არა ეს გადაწყვეტილება ძმების ზურგიდან დანის ჩაცემა იმ დროს, როცა ისინი ოსმალეთის და გერმანიის იმპერიალიზმთან ბრძოლით სისხლიდან იცლებიან?

ნუ ლომავებთ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ჰრილებებს.

ნუ აღმართავთ რუსულ გოლგოთას სოიხეთისა და საქართველოსათვის, თუმც ეს თქვენ დაგჭირდეთ... სოციალიზმისათვის“.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**წითელი არმია.**

„წითელი არმიის“ სახელწოდებით საბჭოთა მთავრობამ რუსეთში აღადგინა ჯარი. ამის შესახებ თერგის ყაზახთა ჯარების გაზეთი (18 მაისის ნომერი), „ტერსკი; კაზაკ“-ი, რომელიც გამოდის თერგზე საბჭოთა მთავრობის დახმარებით, სწერს: „რესპუბლიკის ტერიტორია დაყოფილია რამდენიმე სამხედრო ოლქათ, რომელთა სათავეში იქნებიან გამოცდილნი, მებრძოლი გენერლები, რომლებიც თითონ აირჩევენ თავიანთი შტაბების უფროსებს. მათ დაენიშნებათ პოლიტიკური კომისარები, რაც იმის გარანტია იქნება, რომ ამ ახალი სამხედრო ორგანიზაციას არავითარი კონტრ-რევოლიუციონურ საქმესთან კავშირი არ ექნება. მომავალში უფროსების ხელში იქნება მთელი ძალა-უფლება ჯარის საქმეებისა, რასაც სამხედრო მდგომარეობა მოითხოვს. ჯარი თავისუფალი იქნება მის ცხოვრებაში პოლიტიკის შეჭრისაგან, რამაც ასე გახრწნა წინანდელი ჩვენი ჯარი“...

მაგრამ ამაზე უფრო „საყურადღებო“ შემდეგი სტრიქონებია ამ გაზეთში: „არ შეიძლება არ მივესალმოთ იმ მოვლენას, რომ დ[illegible] ბოლოს საბჭოთა მთავრობამ საერთო ენა გამონახა ჩვენი ჯარის საუკეთესო წარმომადგენლებთან სალაპარაკოთ და შეუერთდა მათ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების აღორძინების საერთო პირობებში. ამ მხრით მეტად მნიშვნელოვანია, რომ გენერალი ბრუსილოვი უფროსობს იმ ჯარებს, რომლებიც გერმანელ-გაიდამაკელების წინააღმდეგ იბრძვიან, რომ გენერალი რადკო-დმიტრიევი დანიშნულია ჩრდილო კავკასიის საბჭოთა ჯარების სარდლათ და გენერალ რუზსკის წინადადება აქვს მიცემული დაიკავოს ტეხნიკური ნაწილის გამგის ადგილი; და ბოლოს, გენერალმა ალექსეევმა, რომელიც კორნილოვის ჯარებს უფროსობს, თანხმობა განაცხადა შესწყვიტოს აგრესიული მოქმედება საბჭოს რესპუბლიკის ჯარების წინააღმდეგ. კორნილოვის ჯარების მოქმედების მოსპობა რესპუბლიკის სამხედრო დაცვის საქმის გაჯანსაღების მომასწავებელია. კორნილოვის მთელი მოძრაობა სისხლიანი გაუგებრობის შთაბეჭდილებას სტოვებდა. გენერლები კორნილოვი და ალექსეევი ცნობილნი არიან როგორც საუკეთესო მამულიშვილნი და როგორც ჯარისკაცებისთვის, მათთვის რუსის ჯარის აყვავება საკუთარი ცხოვრების საკითხია. მათ რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მტრული პოზიცია დაიკავეს, ეს იყო უდიდესი გაუგებრობა, რაიც ჩვენი არეული დროის ასე დამახასიათებელი მოვლენაა“.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

22 მაისი.

**ტაშკენტში.** თურქესტანთა სახალხო კომისართა საბჭოს. გვაცნობეთ საქმის ვითარება რადიოთი დღესვე. განსაკუთრებით თურქესტანის სამხრეთის და აღმოსავლეთის საზღვრების მდგომარეობა. რით გათავდა მუშათა დეპუტატების საბჭოს ყრილობა? სად არის ყრილობაზე არჩეული კომისია თურქესტანის ავტონომიის საკითხის შესახებ? გთხოვთ დღესვე გადასცეთ სტეფანე შაუმიანს ბაქოში ჩვენი შეკითხვა ამიერ-კავკასიაში მდგომარეობის შესახებ. გადაეცით აგრეთვე მასვე, რომ მისი წერილები 1 და 7 მაისის თარიღით მიღებული გვაქვს. მის წერილებზე ხვალ ვუპასუხებთ. მიიღეთ შაუმიანისაგან პასუხი ჩვენს შეკითხვებზე და რადიოთი დაუყოვნებლივ გვაცნობეთ. ჩვენი ადრესი: მოსკოვი კრემლი, სახალხო კომისართა საბჭო. სტალინი.

23 მაისი.

**მოსკოვში** ატყობინებენ, რომ ხარკოვში ქვა-ნახშირი სრულიად არ არის, ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია, განათებაც შეუმცირებიათ. დაუსვრეტიათ დონის ოლქის და თავრიდის რესპუბლიკის კომისარები.

**ვორონეჟიდან** „ვეჩერ. ზვეზდას“ ატყობინებენ: პოლტავის გუბერნიის მირგოროდის მაზრაში დაუხვრეტიათ 42 გლეხი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. კემლის რაიონში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. კემლის სამხრეთით და ჩრდილოეთით მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უშედეგოთ. ლისას, ლა ბასკას და არასი დილბერტის შორის მოწინააღმდეგემ გააძლიერა საარტილერიო მოქმედება.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირის და იორდანის შორის მდებარე ადგილებში ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა ბევრჯერ შეავიწროვეს მტერი. ზოგიერთ ადგილას ჩვენ გავარღვიეთ მავთულების ხ[illegible] ართი და მტრის პოზიციებზე გავმაგრდით, მთელ დღეს განმავლობაში ჰაერში ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა.

**ლონდონი.** მოწინააღმდეგის ჰაეროპლანებმა გადალახეს ზღვის ნაპირები კენტი და ესექსთან და მიაღწიეს ლონდონამდის. მოკლულია მშვიდობიან მცხოვრებლებიდან 37, დაჭრილია 161.

**სოხუმი.** კაპიტანი ზნაბულიას რაზმმა ბოლშევიკების ძალა გაფანტა ანაკლიასთან და სამურზაყანოსაკენ მიიწევს.

# მთავრობის განცხადება

მთავრობა ავალებს ბეჭვდითი სიტყვის ბიუროს გამოაცხადოს საყოველთაოდ, რომ მთავრობა ყოველგვარ ცნობებს საზავო მოლაპარაკების და გუმბრიდან ოსმალთა მოძრაობის შესახებ, რაც კი მოსდის, ყველაფერს აქვეყნებს. მთავრობა აცხადებს, რომ ყველა ამ ცნობების მიხედვით შიშიანობის და „პანიკის“ მიზეზი სრულებით არ ყოფილა აქამდე და არც არის. სხვადასხვა, ხშირად სრულიად უსაფუძვლო ხმები, როგორც, მაგალითად, ხმები 5 დღის განმავლობაში სასახლის დაცლის შესახებ, რასაც ეხლა ავრცელებენ ქალაქში, მცხოვრებთა ერთ ნაწილს სინამდვილედ მიაჩნია, თუმცა ამ ხმებს სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქვთ და გამოგონილია სხვადასხვა ბნელ ელემენტების მიერ. მთავრობა კატეგორიულათ უარყოფს ყოველგვარ ცნობებს გარდა იმ ცნობებისა, რომლებსაც თვითონ იძლევა.

# მთავრობის სხდომა

22 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა თფილის გუმბრის რკინის გზის ლიანდაგზე გაგზავნოს დელეგაცია, მენშევიკების, „მუსავატის“ და „დაშნაკციუტუნის“ წარმომადგენლებისაგან შემდგარი და სთხოვოს მაჰმადიანთა პარტიების მეთაურებს დახმარება აღმოუჩინონ დელეგაციას სადახლო-სანდარის ხაზზე თუ მას შეიარაღებული ბრბო დაესხა თავს.

სასურსათო მინისტრს ნება დართეს საფრანგეთის მისიას ავტომობილი მისცეს წასასვლელად.

წითელ გვარდიის საჭიროებისათვის გადაიდო 100,000 მან.

სამხედრო მინისტრს დაევალა მთავრობას წარუდგინოს წითელი გვარდიის საჭიროებათა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. კავკასიის მთავარ სარდალს დაევალა ზომები მიიღოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის რეორგანიზაციის ცხოვრებაში გასატარებლათ.

# ახალი ამბები

**მთავრობის ცნობა.** ბათუმიდან ა. ი. ჩხენკელი იტყობინება, რომ ოსმალებმა მოითხოვეს მათ უფლება მიეცეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზით სარგებლობისა სამხედრო საჭიროებისთვის ომის გათავებამდე და საყოველთაო ზავის შეკვრამდე. ამის ასრულებას კატეგორიულად მოითხოვენო.

19 მაისს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ-ლოსსოვმა ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეს ა. ი. ჩხენკელს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ საზავო მოლაპარაკება ამიერ-კავკასიას და ოსმალეთის წარმომადგენლებს შორის წინ ვერ მიდის და აქამდე შედეგები ვერ მოიტანა. ფონ-ლოსსოვი წინადადებას იძლევა მოსაშვალობა გასწიოს. ჩვენმა დელეგაციამ მიიღო ფონ-ლოსსოვის წინადადება.

**თფილისის წითელგვარდიელების მრავალრიცხოვანმა** კრებამ იქონია მსჯელობა ოსმალოების თფილისისაკენ წამოსვლის შესახებ ერთხმად დაადგინა: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან მთელი მხარე ტ თფილისი. გამოიმუშავეს მთელი რიგი პრაქტიკული ზომებისა, როგორც მთელი მხარის და თფილისის დაცვის შესახებ, აგრეთვე იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე გამოსვლა მოხდება თფილისში.

**საქართველოს სამხედრო გზაზე.** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარი ამხ. მასალკინი, რომელიც კავკავიდან დაბრუნდა საქართველოს სამხედრო გზით 21 მაისს ყოფილა სად. ლარსში. იქაურ მდგომარეობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: ლარსში ინგუშების რაზმი დგას, მისი დანიშნულება არის მგზავრები უზრუნველყოს ყოველგვარ საფრთხისაგან სად. ბალტა და ყარს შუა. ამ მიდამოებში თურმე ყაჩაღები აწუხებდენ მგზავრებს. ეხლა იქ სრული სიმშვიდე ყოფილა და ის ხმები, თითქოს აქედან ბოლშევიკური საფრთხე მოელოდეს ამიერ-კავკასიას, ჯერ-ჯერობით, ყოველ შემთხვევაში, საფუძველს მოკლებულიაო.

**სანაინიდან** გუშინ ჩამოვიდა თფილისის ბეჭვდითი სიტყვის ბიუროს ერთი წევრი, რომელიც 19 მაისამდე ქ. გუმბრში იყო, შემდეგ კი, 22 მაისამდე სად. სანაინზე იყო. მისი სიტყვით, გუმბრში ოსმალებს წესიერება არ დაურღვევიათ. ქალაქის მილიცია დასტოვეს. მილიციის დასახმარებლათ მიუჩინეს 200 კაცისაგან შემდგარი საყარაულო რაზმი. მცხოვრებნი არავითარ შევიწროვებას არ განიცდიან. გუმბრში და იქიდან უკან თავისუფლათ შედიან და გამოდიან მცხოვრებნი, მხოლოდ ვინც ქალაქში შედის, ყველას იარაღს ჰყრიან. ქალაქის თვითმართველობა გუმბრში მოქმედებას განაგრძობს და არავითარი ცვლილება მის შემადგენლობაში არ შეუტანიათ. ლტოლვილნი ეხლა ისევ გუმბრში ბრუნდებიან. რამდენიმე მატარებელი ლტოლვილებით სავსე ამ დღეებში უკან წასულა სად. სანაინიდან გუმბრში. ოსმალები ვაჭრებისადმი წინააღმდეგობას არ უწევენ. ლტოლვილებს უფრო მტრულად ეპყრობიან ადგილობრივი თათრები, რომლებიც ლტოლვილთა მატარებლებს ესხმიან თავს და მხოლოდ მოსამსახურეთა მატარებლებს უშვებენ თავისუფლათ. ხმები სად. დიდი კარაკლისის აღების შესახებ ტყუილი გამოდგა. ოსმალები, თანახმათ მათი ულტიმატუმის პირობებისა, 25 ვერსით გადმოსცილდენ გუმბრი-ჯულფის რკინის გზას და გაჩერდენ. კარაკლისი 22 მაისამდე აღებული არ იყო.

**ალექსანდროპოლის გეზზე ოსმალთა ჯარების მოქმედების** შესახებ სამხედრო თანამდებობის პირნი იტყობინებიან: 20 მაისს ყარაჩახის ქედზე ოსმალთა რეგულიარული ჯარი გამოჩნდა, რომელთა მოწინავე ცხენოსანთა რაზმი სოფ. ვორონცოვკასთან (ბორჩ. მაზ.) გამოჩნდა და ადგილობრივ თათრებს შეუერთდა. 21 მაისს ოსმალთა ქვეითა ჯარი ალბულაღიდან ნალბანდზე წამოვიდა ტ 10 საათზე გეკ-ესუშ ბეკანდის მწვერვალს მოაღწია. გუმბრის ჩვენი რაზმის უფროსმა ბრძანება გასცა თუ მოწინააღმდეგემ ნალბანდისკენ წინსვლა განაგრძო რაზმმა გეგორან-ტაპანლი-ვორონცოვის ხაზზე დაიხიოს. 21 მაისს საღამოთი მოწინააღმდეგემ დაიპყრო ამამლი და შემოტევას განაგრძობს. ჩვენი რაზმი უკან იხევს კიშლაკზე და შემდეგ კარაკლისზე. 20 მაისს ოსმალებმა ქურთების და თათრების დახმარებით იგდირს შემოუტიეს. ჩვენი სარდლების მიერ დილით გაგზავნილი პარლამენტიორები დაბრუნდენ და მოახსენეს, რომ მტერი ერთი საათის ვადას იძლევა მთელი იარაღის და შეიარაღებულ ძალების გადასაცემათ; მტერი მხოლოდ ამ შემთხვევაში შესწყვეტს სამხედრო მოქმედებას. იგდირის ჩვენი რაზმის უფროსმა გადასწყვიტა მტერიმდ. არაქსზე შეაჩეროს.

**სამხედრო მინისტრს** ბათუმიდან გენ. ოდიშელიძე ატყობინებს, რომ 22 მაისს დილით ოსმალთა მთავარსარდალი ვეხიბ-ფაშა ავტომობილით არდაგანით გუმბრში გაემგზავრა, სადაც 23 მაისს მივა საღამოთი. 24 მაისს გუმბრში უნდა მივიდენ გენ. ნაზარბეკოვი და სვიშინსკი ვეხიბ-ფაშასთან შესახვედრათ, რათა შეიმუშავონ ჯარის გადმოზიდვის პირობები, სადემარკაციო ხაზის დასადებად და სხვა. გენ. ნაზარბეკოვთან ბათუმიდან გაიგზავნა გენ. ყორღანოვი.

**საადგილ-მამულო რეფორმა.** თფილისის გუბერნიისათვის დაინიშნა 30 დამატებითი მიმღები კომისია. თიანეთის რაიონში შეუდგენ მამულების მიღებას. ქისტებსა და ოსებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, რაიც მუშაობას ხელს უშლიდა მოსპობილ იქნა.

**სეიმის საბიუჯეტო** კომისიამ დაადგინა გადადებულ იქნას ფოთის ხიდის შესაკეთებლად 495 ათასი მანეთი. მომხსენებლად ამორჩეულია ბ. თევზაია.

**ბესარაბიის ერობამ** თფილისში მოსული ცნობებით 80 ხმით 3 წინააღმდეგ დაადგინა შეუერთდეს რუმინიას. 26 ხმოსანმა თავი შეიკავა.

**წერილების გაგზავნა ბათუმში.** იმ პირთ, რომელთაც სურთ გაგზავნონ წერილები ბათუმში შემდეგი ადრესი უნდა წააწერონ კონვერტზე: Натанеби, Закавказской Мирной делегации და შემდეგ ადრესატის სახელი და გვარი, ქუჩის სახლის ნომერი და სხ.

**ამიერ-კავკასიის ბანკის** წარმომადგენლებს მჭედლიშვილს და სხვებს ნება დართო მთავრობამ ბათუმში წასვლისა, იქ ხსენებულ ბანკის განყოფილების გასახსნელად. როგორც გადმოგვცეს, ოსმალეთის ბათუმის ადმინისტრაციასაც დაურთავს ნება ბანკის განყოფილების გასახსნელად.

**საუბნო სახურსათო** კომიტეტების საბჭოთა კრება კოოპერატივების მონაწილეობით მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში დღეს, საღამოს 7 საათზე.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, სად. 5 საათზე დანიშნულია ნაძალადევის თეატრში პირველ რაიონის ს.-დ. მუშ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება ქალთა მორიგი კრება ს. დ. ორგანიზაციის საუფლისწულო ქ. № 3.

— დღეს, საღამოს 7 საათზე პაპოვის მაღაზიაში (გოლოვინის პროსპექტი) დანიშნულია სხდომა მეორე სამილიციო მცირე კოლექტივისა.

— დღეს შესდგება პროფესიონალური კავშირთა საბჭოს და ყველა კავშირების გამგეობათა შეერთებული სხდომა მიმდინარე მომენტის შესახებ.

# ქალაქის საბჭო

22 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. საბჭოს სხდომას აუარებელი გარეშე საზოგადოება ესწრება. ჩანს, ყველა დაინტერესებულია პოლიტიკური მდგომარეობით. საკითხი, რომელიც ყველას აინტერესებდა და რომლის პასუხს ყველა გულის ფანცქალით ელოდა და იყო: მოელის თუ არა თფილისს საფრთხე ოსმალებისაგან და თუ მოელის—როგორ დავიცვათ ქალაქი. ჩვეულებრივად კადეტებმა და მემარცხენე ს.-რ. მთავარ საკითხს გვერდი აუხვიეს და მთელი სხდომა პარტიულ კინკლაობას და მთავრობის კრიტიკას მოანდომეს.

თავმჯდომარე კრებას ხსნის და ამბობს: ქალაქის საბჭომ წარსულ სხდომაზე გამოიტანა დადგენილება, რომ პრეზიდიუმს მიეღო ყოველგვარი ზომები პოლიტიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად, შეეგროვებია მთავრობის საშუალებით ოფიციალური ცნობები და თუ საჭიროდ დაინახავდა, მოეწვია საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება. მე თქვენ გადმოგცემთ ყველა იმ ცნობებს, რაც მოგვეპოვება ამ ჟამად. თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი ლოზუნგი იყო საპატიო ზავის ჩამოგდება და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე პროტესტი განვაცხადეთ. და როცა საზავო მოლაპარაკებაზე მივდიოდით ტრაპიზონში, ყველას მოვუწოდებდით თავდაცვაზე ეზრუნა. ისიც იცით, თუ რა პირობებში მოუხდა მუშაობა საზავო დელეგაციას და რით გათავდა ის. იმის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, სულ ახალი მდგომარეობა შეიქნა: ჩვენ დავკარგეთ ბათუმი, ყარსი, არდაგანი. ბათუმში, როგორც ვიცით, ოსმალებმა მთელი რიგი ახალი მოთხოვნილებებისა წამოაყენეს. საზავო მოლაპარაკება სწარმოებს, მაგრამ რით და როდის გათავდება, ამაზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოება. მოლაპარაკების დროს ისეთ ფაქტებს ქონდა ადგილი რომ დროებით შერიგებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მომხსენებელი კითხულობს ოსმალების დეპეშას ალექსანდროპოლის და ჯულფის რკინის გზის დათმობის შესახებ, ამ მოთხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ მოდიან ინგლისელების ჯარები ჯულფის მიმართულებით და ამ გზით სასწრაფოთ უნდა გადავიყვანოთ ჯარიო. შემდეგ ის აქვეყნებს გენერალ ნაზარბეკოვის დეპეშას მთავრობის სახელზე იმის შესახებ, რომ ოსმალოებმა დაიჭირეს ალექსანდროპოლი და არის ცნობები, რომ თფილისისკენ მოემართებიანო. ამის შესახებ მთავრობამ აცნობა საზავო დელეგაციას ბათუმში და ჩხენკელმა პროტესტი განაცხადა დროებითი შერიგების დარღვევისათვის. ამასთან მთავრობამ ნაზარბეკოვს უბრძანა ბრძოლა დაეწყო. უკანასკნელი ცნობით ოსმალოები მოიწევენ ლორის რაიონში. ამის შესახებ მთავრობა დეპეშით შეეკითხა დელეგაციას ბათუმში. გამოარკვიეთ დროებითი მორიგება არის თუ არა—და თუ არა, მაშინ დელეგაციის ბათუმში ყოფნა უაზრობააო.

ოზურგეთის მაზრაში მდგომარეობა არ შეცვლილა.

ახალციხის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს, ვიცით მხოლოდ, რომ ერთი კვირაა, რაც ქალაქი ალყა შემორტყმულია.

ბორჯომის რაიონში ჩვენი ჯარი მამაცურად იბრძვის.

ცნობა მოვიდა, რომ განჯაში ჩასულა ნაზიმ-ფაშა, რომლისთვის მცხოვრებლებს ნადიმი გაუმართავს.

გუშინ საღამოს მოვიდა კერძო ცნობა, რ[illegible] კავკავიდან დაიძრა ბოლშევიკების რაზმი [illegible] დაიჭირა სად. ლარსი. ამ რაზმში არიან ადგილობრივი ინგუშებიცო.

თუ რა ძალა მოდის ალექსანდროპოლის მიმართულებით, როგორი თვისებისაა, წამოვა თუ არა თფილისისკენ, ამაზე ცნობა არა აქვს მთავრობას. მის გასაგებათ მიღებულია ყოველგვარი ზომები.

— საერთოთ, ის მცირე ცნობები, რომელიც მოგვეპოვება მდგომარეობის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. როგორც ხედავთ, მდგომარეობა სერიოზული და კრიტიკულია. ჩვენ არ შეგვიძლია ამ მოვლენას გულ ხელ დაკრეფილათ ვუყუროთ. ჩვენ უნდა ვიხმაროთ ყოველგვარი ზომები, რომ თფილისში წეს რიგი არ იქნას დარღვეული, ანარქიამ არ წამოყოს თავი, თორემ წეს-რიგის აღსადგენათ ოსმალები უფრო ადრე მოვლენ. აი ასეთ საბედისწერო მომენტში უნდა შექმნილიყო თავდაცვის კომიტეტი და კიდევაც მოეწყო ის; კომიტეტში შედიან: სამხედრო მინისტრი, გარეშე საქმეთა მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე, წითელი გვარდიის წარმომადგენელი, აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი და ჩვენც მოგვცეს წინადადება გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი. ამ კომიტეტს ევალება რევოლიუციონური წეს რიგის და ქალაქის დაცვა, აგრეთვე მთელი ამიერ-კავკასიის დასაცავათ ზომების მიღება.

შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელ დღეებში თფილისიდან აუარებელი ხალხი გადის და ამაზე საბჭოს თავისი შეხედულება უნდა გამოთქვას, ჩვენ წასვლაზე უარს არ ვეტყვით, მაგრამ არც დარჩენა შეგვიძლია ვურჩიოთ, ვინაიდან არ ვიცით, თუ როგორი მდგომარეობა შეიქნება, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ არც ის ადგილებია დაცული, სადაც ლტოლვილები მიეშურებიან. ჩვენ ყოველ შემთხვევაში მოწოდებით უნდა მივმართოთ მცხ[illegible]რებლებს, რომ მშვიდობიანათ იყვნენ, პანიკას ნუ გამოიწვევენ, თორემ ამით ისარგებლებენ ბნელი ძალები და ანარქიას, ცარცვა-გლეჯას დაიწყებენ.

რაც შეეხება ახალი ძალების შექმნას, მცხოვრებლების იარაღის ქვეშ დაყენებას, მე სკეპტიკურათ ვუყურებ და არც შესაძლებელია, ვინაიდან ამ ახალ ჯარში შეიძლება ბევრი ბნელი ძალები მოხვდეს და სარგებლობის მაგივრათ, ზიანი მოიტანოს, აგრეთვე ამ მოკლე დროში ყოვლად შეუძლებელია ძალის შექმნა.

ქალაქის თავი ნ. ელიავა უმატებს მოხსენებას შემდეგს: თავდაცვის საკითხი ჩვენს [illegible]ნათ სდგას არა ვიწრო, თფილისის ფარგლ[illegible]ში, არამედ—ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ლარსი თფილისის გუბერნიაში არ შედის, რაც შეეხება ინგუშებს, ისინი საბჭოთა მთავრობას ექვემდებარებიან. კავკავთან ჩვენს ქალაქ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს კავშირი და ყოველივე ამბების გაგება შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ოსმალები მოვიდენ, შეტაკების დროს არის საშიში, თორემ შემდეგ მშვიდობიანობას საფრთხე არ მოელის. თუ თფილისის აღებას ექნა ადგილი, ქალაქის გამგეობა და თანამშრომლები უნდა დარჩენ თავიანთ ადგილზე. შეკითხვები: მართალია თუ არა კარაკლისის აღება, ნაზიმ-პაშა რომელი გზით მოვიდაო, მართალია თუ არა რომ გერმანიამ დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიის არ იცნოვო.

თავმჯდომარე აძლევს პასუხს, რომ კარაკლისის აღების და ნაზიმ ფაშა თუ საიდან მოვიდა ამის შესახებ ცნობები მთავრობას არ მოეპოვება. რაც შეეხება დამოუკიდებლობის არ ცნობას გერმანიის მიერ, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რაც გაზეთებში იყო მოთავსებული.

შემოდის წინადადება ფრაქციებს მიეცეს საშვალება მოილაპარაკონ და საკითხს მომზადებულათ შეხვდენ, მაგრამ ტეხნიკურად მოუხერხებელი იყო და კრება გაგრძელებულ იქნა.

ხუდადოვი (ს. რ.) ამბობს, რომ ჩვენ მუდამ მომხრე ვიყავით თავდაცვის და დღესაც ვიზიარებთ მას, მაგრამ ჩვენ დღევანდელ პირობებში გვწამს მხოლოდ თავდაცვა მთელი რუსეთის სახელმწიფოს მასშტაბით, ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი ხალხი ფსიხოლოგიურად ომისთვის არ არის განწყობილი; ამ ენტუზიაზმის დაცემამ ხელი შეუწყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებამ.

სემიონოვი (კად.) მთელ ორმოც წუთს მთავრობის და მენშევიკების კრიტიკას ანდომებს თავის სიტყვას და რომ დამსწრე საზოგადოებაში გამოიწვიოს მთავრობის საწინააღმდეგო სულიერი განწყობილება ამბობს, რომ სომხის და რუსის ნაციონალურ საბჭოებში აუარებელი ხალხია თავმოყრილი, აბა მიდით სასახლეში თუ დღეს ორ კაცს დაინახავთ იქო. იგი მომხრეა თავდაცვის, მაგრამ მისი აზრით თავდაცვა შეუძლებელი იქნება, თუ ოსმალები ქალაქს მოადგენ, უნდა ვეცადოთ, სანამ ქალაქამდი მოაღწევდეს, მანამ შევეცადოთ მტრის შეჩერებას.

გეპშტეინი (ს. დ.) ჩვენ განვიცდით უდიდეს კრიტიკულ მდგომარეობას. ჩვენი დღევანდელი კამათი უნდა იყოს მიმართული იმაზე, თუ როგორ დავიცვათ ქალაქი და მთელი კუთხე. მაგრამ რადგანაც აქ წამოაყენეს მთელი რიგი ბრალდებები, ძალაუნებურად პასუხი უნდა გავსცე. ხუდადოვმა ვერ გაარჩია მიზეზი და შედეგი და ამიტომ მისი სიტყვა ყალბ ნიადაგზე იყო აშენებული. ის ყველაფრის მიზეზათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას აღიარებს და მოითხოვს რუსეთთან ერთათ თავდაცვის წარმოებას. ეს რომ შეიძლებოდეს, ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ დღეს თვით რუსეთი უნუგეშო მდგომარეობაშია და ჩვენ ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ რუსეთი აღსდგება ერთ დროს, მაგრამ დღეს ის ჩვენთვის გამოუსადეგარია. აქ უთითებენ მთავრობის შეცდომებზე, რაღაც კომპრომისებზე, მხოლოდ ანგარიშს არ უწევენ იმ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია ეს შეცდომები. მთავარი მიზეზი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა დემოკრატიის არ სასარგებლოთ, ეს იყო ფრონტის დაცლა რუსის ჯარის მიერ. არის ერთი ჯგუფი ამიერ-კავკასიაში, რომელიც მუდამ ხელს გვიშლიდა მუშაობაში და ენვერ-ფაშას უწოდებდენ მეგობრულათ ხელს. ეს ასე იყო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და ასე არის დღესაც. თუ მივიღებთ მხედველობაში სურსათს, იარაღს და სხვას, არც ამ მხრივ შეცვლილა რამე დამოუკიდებლობის მეოხებით, რუსეთი დანგრეული იყო და არაფრის მოცემა არ შეეძლო. მესამე საკითხია, რომელიც ომის დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, არის ფული. ამ მხრივათაც დამოუკიდებლობას არავითარი ზიანი არ მოუტანია, ვინაიდან ფინანსიურათ სულთმობრძავს რუსეთს ჩვენთვის ფულის მოცემა არ შეეძლო.

ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომა, რომ ოსმალეთის იმპერიალისტებს ხელში არ ჩავვარდნოდით. როცა ჩხენკელმა ბრესტის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, სეიმმა დადგენილება გამოიტანა ომის გაგრძელების და დახმარებისათვის მივმართეთ რუსეთის მთავრობას, მაგრამ იქიდან გვიპასუხეს: დახმარება არ შეგვიძლია, მოაწერეთ ბრესტის ხელშეკრულებას ხელი და თუ შემდეგ დაარღვია ოსმალეთმა— ბერლინში დიპლომატიურ პროტესტს განვაცხადებთო. ყველა ამის შემდეგ ჩვენ არ შეგვეძლო რუსეთზე იმედების დამყარება. შემდეგ ორატორი აღნიშნავს თავდაცვის პრაქტიკულ მხარეებს.

თარხანოვი (ს რ.) ილაშქრებს მთავრობის და სეიმის მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვეს რუსეთთან ფრონტის გაერთიანებას.

მ. არსენიძე (ს. დ.). ასეთ საპასუხისმგებლო პოლიტიკურ მომენტში მე არ მოველოდი, რომ ქალაქის საბჭოში პარტიულ კინკლაობას ექნებოდა ადგილი. თუ აქ ამბობენ იმაზე, რაც რამოდენიმეჯერ დამტკიცებულია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მმართველ წრეებს მოახვიონ მთელი უბედურების მიზეზები თავზე და მით ცდილობენ სახელი გაუტეხონ მასაში. ორატორი ამბობს, რომ 1914 წ. თვით სახელმწიფო დუმაში გამონახეს საერთო ენა და ერთი აზრით გამოვიდენ ომის შესახებ. აქ კი მუდამ დემოკრატიულ ორგანიზაციებს ოპოზიციაში უდგანან ეს ვაჟბატონები. ჩვენ გვეუბნებიან რუსეთთან ფრონტის გაერთიანებაზე, განა რუსეთის მესვეურების მეოხებით არ იყო, რომ ჩვენ ბათუმში სისხლიდან ვიცლებოდით, სოხუმში აჯანყება მოაწყვეს და ზურგიდან დანა ჩაგვცეს. მე არ მიკვირს ამ ხალხისგან, რომ დღევანდელ გამწვავებულ მდგომარეობას ისევ ამწვავებენ, ვინაიდან ისინი გაჩენილი არიან მხოლოდ დემოკრატიის ოპოზიციისთვის. ორატორი არჩევს მოწინააღმდეგეთა მიერ წამოყენებულ საბუთებს და ამბობს, რომ ჩვენი საკითხია დღეს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის დაცვა და ერის ფიზიკური არსებობის შერჩენა. ამიტომ ჩვენი ვალია გავამაგროთ და ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ იმ ორგანოს, რომელიც შესდგა თავდაცვის მიზნით. დასასრულ ორატორი უთითებს საბჭოს ზოგიერთ პრაქტიკულ ნაბიჯებზე.

ი. ბარათაშვილი (ს. ფ.) ფრიად დასაბუთებულ და შინაარსიან პასუხს აძლევს იმ ორატორებს, რომლებმაც მთავრობის საწინააღმდეგოთ ილაპარაკეს და საბჭოს მოუწოდებს მთავრობას ხელი შეუწყოს მომავალ საფრთხის თავიდან აცილებაში.

არუთინოვი წინააღმდეგია თავდაცვის იმ მაშტაბით, რომლითაც ის წამოყენებული იყო ორატორის მიერ. ის მოითხოვს მხოლოდ ქალაქის დაცვას იმ ბანდისაგან, რომელიც თან ეახლება ოსმალთა რეგულიარულ ჯარს.

დაშნაკცაკანების ფრაქცია აცხადებს, რომ ჩვენ თავდაცვას მხარს ვუჭერთ მთავრობის დადგენილების გადაწყვეტილების ფარგლებში.

ჩემოდანოვი (ს.-რ.) ილაშქრებს ამიერ-კავკ. დამოუკიდებლ. მტრების წინააღმდეგ და ამბობს: ბოლშევიკების დამღუპველ ტაქტიკაზე დ ასკვნის, რომ საბჭოს არა აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება სეიმის წინააღმდეგ, რადგანაც ის ოთხ ფორმულიანი სისტემით არის არჩეული მთელი ხალხის მიერ.

დასასრულ თავმჯდომარე აკეთებს მოკლე დასკვნას და აღნიშნავს სემიონოვის სიტყვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: სომხის და რუსის ნაციონალურ საბჭოებთან აუარებელი ხალხი იყრის თავს, ხოლო სასახლეში კაცს ვერ ნახავთო. ამას ის უწოდებს ერთგვარ პროვოკაციას, რომელიც დაუშვებელია დღევანდელ პირობებში.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ქალაქის საბჭო მიესალმება ყოველ ნაბიჯს თავდაცვისაკენ მიმართულს და წინადადებას აძლევს მცხოვრებთ პირველ დაძახებისთანავე გამოვიდენ მთელი მხარის და ქალაქის დასაცავად. წინადადება ხმოსნების თავის ადგილზე დარჩენის შესახებ მიღებულ იქნა.

ა. ს—უა.

## ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებში

დღეს, როდესაც კითხვა ყოფნა არ ყოფნის შესახებ ისმება, მტერი რკალივით გარს შემოგვერტყმია და ანარქიის ცეცხლი ჩაღდება შიგნით, ამ დროს მცონარე ნაციონალისტებს წამოუყვიათ თავი და სხვა ჭირთან ერთათ ნაციონალურ შუღლს აღრმავებენ.

ყოველ შავრაზმულ და უტაქტიკო გამოსვლებს უნდა ებრძოდეს ინტელიგენცია და შეგნებული მუშები. საუბედუროთ, ამას ვერ ვხედავთ,—ზოგის მოქანცულობით და ზოგის კი დაუდევრობით. ფოსტა-ტელეგრაფი, როგორც ცოტათ თუ ბევრათ მოინტელიგენტო ხალხი, მშრომელი, რევოლიუციის მონაპოვარის გასამტკიცებელ ქვა-კუთხედათ უნდა გადაქცეული იყო, მაგრამ ის დემაგოგიის ბუდეთ გამხდარა. მრავალი მოხელეები ჰორიკანობენ, გულუბრყვილო მასსაში ტყუილებს ფაქტათ ასაღებენ და მით ანარქიას ხელს უწყობენ. სომეხი ნაციონალისტები ეუბნებიან რუსებს: ქართველებმა გამოგვყვეს რუსეთს, თორემ ჩვენი ლტოლვა რუსეთისკენ იყო და არისო. ავრცელებენ ხმებს, ვითომც ქართველებს ყველა რუსების სამსახურიდან გაძევება უნდოდეს და სხვა. ამ აშკარა პროვოკაციის საჯაროთაც გეუბნებიან კამათში. ეს სჯერა რუსამხანაგებსაც და ერთი ჭირ ვარამის, ერთი მიზნის მქონე ამხანაგებშიც ითხრება ამოუვსები ორმო.

მიზანი ამართლებს საშუალებასო და აი, დასახულ მიზნის განსახორციელებლათ იყენებენ ბოლშევიკები ასეთ გარემოებას და საშინელ ხმებს ავრცელებენ სეიმზე და კომისარიატზე.

ამ-ბო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენო! თქვენი დროშა იყო დღემდე დროშა წითელი, ძმათა სოლიდარობის მომასწავებელი. თქვენ თვით ავანგარდი იყავით რევოლიუციის და არ შერცხვეთ, ეს დროშა დაბლა არ დახაროთ.

სოხუმის კანტორა წამოეგო დემაგოგიის ანკესზე და შეარყია თფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის მთლიანი ფრონტი. იქ უზნაძის, ივანოვის, კუხალეიშვილის და წვრილფეხა ნაციონალისტი ფარცვანიას მეთაურობით ნაწილი მოხელეებისა გამოვიდა არა მკითხეთა როლში და საერთო კრებაზე მოინდომეს ბოლშევიკების სასარგებლო რეზოლიუციის გამოტანა. რომ შეატყვეს საქმე ცუდათ მიდიოდა, ტელეფონით აცნობეს „სამხედრო რევოლიუციონურ“ კომიტეტის თავმჯდომარე ეშბას, რომელიც გვარდიელთა თანხლებით მიადგა საერთო კრებას. შემდეგ რეზოლიუციას ღიათ კენჭი უყარეს, უარყვეს, მაგრამ, რასაკვირველია, იარაღის ქვეშ ყველას უნდა თითი აეწია. აი, ამხ-ბო მოხელეებო, რით აიხსნება ის სოხუმის კანტორამ რომ ერთხმათ ცნო სახალხო კომისართა მთავრობა. მაშ, საჭიროა, ამხანაგებო, სანამ გვიან არ არის, ლაგამი ამოვსდოთ ყოველგვარ მტერს დღევანდელი წესწყობილებისას, თორემ ისტორია სამარცხვინო ბოძს გვიჭედს, გახსოვდეთ!

№ 66.

## ოსების ეროვნული ყრილობა

28 მაისისთვის ახალი სტილით ს. ჯავაში ოსურმა ეროვნულმა საბჭომ დანიშნა მესამე ეროვნული საერთო ყრილობა. რომელზედაც უნდა დაესწროს ათას მცხოვრებელზე ერთი წარმომადგენელი, სულ დაახლოვებით ას დელეგატამდე. თანამედროვე მდგომარეობა ხდის ამ ყრილობას ფრიად საყურადღებოთ. უმთავრესი განსახილველი კითხვა უნდა იქნეს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ-კავკასიისა და ოსების დამოკიდებულობა. ოსებმა უნდა უკანასკნელი სიტყვა სთქვან დღევანდელ მომენტის შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ერთსულოვნობას, ერთა სოლიდარობას, რომელიც იყო ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის გამარჯვების დროს, უნდა ვიმედოვნოთ, რომ რევოლიუციის გაჭირვებისას ოსეთის მშრომელი ხალხი ერთგული დარჩება ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთან ერთად და გაიზიარებს მის ხვედრს, მასთან ერთად მოიკრებს ძალ-ღონეს მტრის მოსაგერიებლად.

მეორე საყურადღებო კითხვა ეხება ცხინვალის ტრაგედიას, რომელიც მოხდა 19-20 მარტს. უნდა გამოითქვას უკანასკნელი სიტყვა აქაც და ეროვნულმა ავტორიტეტულმა ყრილობამ დაგმოს ეს სამარცხვინო, ველური გამოსვლა, რომელსაც მოჰყვა ამხანაგების ვერაგულად დახოცვა და მთელი ცხინვალის დარბევა—დაწიოკება. ეროვნულმა ყრილობამ ოსების მშრომელ ხალხს უნდა მოხსნას ეს სამარცხვინო ჩირქი, რამდენადაც იგი ეხება მას და ნათელი მოფინოს თუ რა გარემოებაში მოხდა ეს აჯანყება.

დაბოლოს, ხალხის წარმომადგენლების წინაშე უნდა წარსდგეს ეროვნული საბჭო, რომლის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან ნაციონალისტები, უკმაყოფილონი მისი ინტერნაციონალური შემადგენლობით და მოსალოდნელია მისი რეორგანიზაცია. ეს უკანასკნელი კითხვა დიდ კამათს და უთანხმოებას გამოიწვევს. შესაძლებელია ჩრდილოეთის ოსეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმაც მიიღოს მონაწილეობა ყრილობაზე.

გ.

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 19 მაისს შესდგა მეოთხე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ავშტროვი. განსახილველი იყო: მეოთხე რაიონის კოლექტივის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, კოლექტივის არჩევნები, მიმდინარე მომენტი და ჩვენი პარტია, მიმდინარე კითხვები. კოლექტივის თავმჯდომარემ ამხ. ავშტროვმა გააკეთა მოკლე მოხსენება კოლექტივის მოქმედების შესახებ. კოლექტივი არჩეული იყო წარსული წლის 26 სექტემბერს. დღიდან თავის მოქმედებისა კოლექტივმა დაისახა მიზნათ მჭიდრო კავშირი გაება პარტიის წევრებსა და ხელმძღვანელ ორგანოებს შორის. ამ მიზნით ის მართავდა საზოგადო კრებებს და აწყობდა ლექციებს. სულ გაიმართა 8 საზოგადო კრება და 7 ლექცია. კოლექტივს წილათ ხვდა აგრეთვე ხელმძღვანელობის გაწევა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, რომლის დროსაც სამილიციო უბნებში მოაწყო 8 ლექცია და 3 მიტინგი. პარტიის წევრებთან დასაახლოვებლათ კოლექტივმა მოაწყო სამილიციო უბნებში მცირე კოლექტივები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ პარტიულ მუშაობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კოლექტივი პარტიის წევრების პოლიტიკურათ აღზრდას; თებერვლის პირველ რიცხვებიდან მოაწყო ამისთვის საუბრები პარტიის წევრებთან. საუბრები იმართებოდა კვირაობით. სულ გაიმართა 9 საუბარი. ამნაირათ ცდილობდა კოლექტივი გამხდარიყო პარტიის წევრების იდეიური ხელმძღვანელი, მაგრამ თუ ეს მან სავსებით ვერ შესძლო, ამაში ბრალი ედება თვით პარტიის წევრებს, რადგანაც ისინი კრებებს ნაკლებათ ესწრებოდენ.

ამის შემდეგ თავმჯდომარე აცნობს კრებას, თუ რა შემოსავალ-გასავალი ჰქონდა კოლექტივს დღიდან თავის მოქმედებისა ამ წლის 19 მაისამდე.

კრება ამტკიცებს კოლექტივის ანგარიშს და გადადის დღის წესრიგის შემდეგ კითხვაზე, შემდეგი კითხვა იყო კოლექტივის არჩევნები. თავმჯდომარემ კოლექტივის სახელით წინადადება მისცა კრებას კოლექტივში აერჩიათ 17 კაცი ფარული კენჭის ყრით. კრება პირველ წინადადებაზე დაეთანხმა, მხოლოდ არჩევნების მოხდენა მოისურვა აშკარა კენჭის ყრით. კოლექტივის წევრობაზე თანხმობა განაცხადა 22 კაცმა. ამათგან აირჩიეს: რ. ჩიხლაძე, რ. ავშტროვი, უ. ელიავა, ბერიტაშვილი, მ. ბერეჟიანი, მ. კლიმიაშვილი, ე. მახვილაძისა, ტ. რებრუხისა, გ. მაჭავარიანი, მ. კრასოვსკი, გ. უსეინაშვილი, თ. ქარძავაძე, ზ. გიორგიშვილი, ი. მესხი, ე. ლომთათიძე, აკოპჯანოვი, ტ. ნიკოგოსოვისა. დანარჩენი 5 დასტოვეს კანდიდატებათ: ი. ომანიძე, მ. თამაზაშვილი, ა. კაცენლენ ბაუმი, ა. ბუკია და საათაშვილი. ფარული კენჭის ყრით თფილისის კომიტეტის წევრებათ აირჩიეს რ. ჩიხლაძე და ლ. ბერიტაშვილი, მათ კანდიდატებათ ე. მახვილაძისა და ს. კაიტაჯიანცი. მომენტზე მოხსენების გაკეთებამდე კრებამ მოისურვა საბურთალოს ამბების მოსმენა. მოხსენება გააკეთა ამხ. მიხეილიძემ. მან აუწერა კრებას, თუ რა აუტანელი პირობები იყო საბურთალოზე ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში. ძარცვას, მკვლელობებს და ლოთობას საზღვარი არ ქონდაო. ყველაზე შემაძრწუნებელი ის არისო, დასძინა მომხსენებელმა, რომ ყოველივე ამას ხელს უწყობდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, კომისარის და სხვა მოხელეების სახით. ეხლა ბოროტ მოქმედნი თავდაცვის შტაბის მიერ დატუსაღებულნი არიანო. მოხსენების შემდეგ შემოვიდა წინადადება, რომ კრებას აერჩია კომისია ამ საქმის გამოსაძიებლათ, რადგანაც ზოგი დატუსაღებულთაგანი ირიცხება პარტიის წევრათ, მაგრამ კრებამ ეს წინადადება უარჰყო და აუკრძალა პარტიის წევრებს ამ საქმეში რაიმე მონაწილეობის მიღება, რომ თავის ჩარევით ხელი არ შეუშალოს გამოძიებას.

რადგანაც გვიანი იყო მომენტის შესახებ მოხსენება არ გაუკეთებიათ.

კა—ძე.

**სანაინი** (ყარსის გზა). 9 მაისს, სანაინში შესდგა ს. დ. მ. პ. საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 70-დე წევრი.

თავმჯდომარევ ამხ. ანთიძემ მოკლეთ გააცნო დამსწრეთ კრების მოწვევის მიზეზი.

მომენტის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კ. პელიძემ და პრ. ინწკირველმა, რომლებიც ვრცლათ შეეხენ დღევანდელ მდგომარეობას, ომის და ზავის პირობებს, თუ რამ აიძულა ამიერ-კავკასია დამოუკიდებლათ გამოცხადებულიყო და აგრეთვე განსაკუთრებით ვრცლათ შეეხენ თავდაცვის საკითხს.

კიოსკის მდგომარეობის შესაზებ მოხსენება გააკეთა ამხ. პრ. ინწკირველმა, რომელმაც განაცხადა, რომ კიოსკი დღიდან სწყვეტს თავის მოქმედებას. მისი ქონება გადაეცემა სანაინის უფასო სამკითხველოს, რომელიც გაიხსნება 15 მაისიდან. კრებამ მადლობა გამოუცხადა კიოსკის ხელმძღვანელებს ამხ. პ. ნანეიშვილს, პ. ჯიბლაძეს და პრ. ინწკირველს.

დვაბზუელი.

## გზა და გზა

**გურიაში.**

IX

ფრონტზე მოქმედებენ განსაკუთრებული რაზმები.

როგორც ჯარის-კაცნი, ისე სხვა რაზმელებიც ყოველგვარ გაჭირვებას იტანენ და ეს დამახასიათებელია მათი ძლიერი სულისა, მტკიცე ნებისა, მაგრამ ამისთვის დაჩქარებით ანგარიშის გაწევა და შეძლების დაგვარათ სულიერი და ნივთიერი დახმარებაა საჭირო.

ჯარის ერთგვარი სულიერი გამოხატულება არის მტკიცე სამხედრო დისციპლინა, როგორც წინა წერილში აღვნიშნე, ხშირათ მოგვესმოდა კანტი-კუნტათ, დროა ბოლო მოეღოს უდისციპლინობასო. ჩვენ გვაქვს ხელში ჯარისკაცთა თათბირის დასკვნები, რომელიც, უჩვენოთ მოხდა. ასეთი თათბირები, იქა-აქ ამოძახილი თავს იყრის და ის ქაღალდი, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს, შემდეგს გვეუბნება: 1) მაგარი მთავრობა, 2) მიღებულ იქნას საჩქარო ზომები ყოფილი ჯარისკაცთა მობილიზაციისათვის. 3) გაწვეულ იქნას ისეთებიც, რომელიც არ ყოფილან ჯარში. 4) არ იქნას არსად მიღებული ჯარიდან გაქცეულები, 5) მებრძოლ გმირთა აღსანიშნავათ საჭიროა ნიშნების შემოღება, 6) დასჯილი იქნას ბოლშევიკები და სხვა ისეთები, ვინც ხელს უწყობენ ანარქიას და სხვა.

აქედან ჩვენთვის ნათელია, რომ დრო და გარემოება ერთგვარ გამორკვევას თხოულობს და შესაფერ საკანონმდებლო დასკვნებს.

დილით ადრე თხინვალისაკენ გავსწიეთ. თხინვალში უნდა მომხდარიყო ხვარბეთის და მიქელგაბრიელის საზოგადოების შეერთებული მიტინგი.

მეტათ უკუღმართი ამინდი იყო. კოკისპირული წვიმა მგზავრობას გვიშლიდა და ჩვენი მიზანი, მიტინგის მოხდენა, ჩაიშალა, სამღვთოს შკოლაში შევაფარეთ თავი, იქ მოეყარა ხალხს თავი, რომელსაც უნდოდა თხინვალისაკენ წასვლა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

დრო მაინც არ დავკარგეთ.

სამ საათზე მიუხედავათ ცუდი ამინდისა. შკოლის დარბაზი ხალხით გაიჭედა და კრებაც გაიხსნა. მოხსენება გააკეთა ამხ. ის. რამიშვილმა.

მოხსენების შემდეგ დაიწყო შეკითხვები და სიტყვები. სიტყვებს ამბობდენ უფრო ხნიერნი,

**სიტყვა I.** ჩვენ, ბატონო, ტალახას და ელიას ციხესთან 1877—8 წ.წ. დიდი ომი გვქონდა, იქ დიდძალი მეომარნი დაიხოცა, ბათუმის შემდეგ იგი მიუვალი [illegible] მას გამაგრება უნდოდა. ეს არ მოხდა. ეტყობა, რაღაც ვერ იყო საქმე კარგათ.

**სიტყვა II.** ჯარისათვის საჭიროა წინამძღოლი. ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა, ერთხელ გაგვეწვიეს ოზურგეთში და მერე გვითხრეს— საჭირო არა ხართო. ჩვენ ყველაფერს მოველოდით, მაგრამ თათრების შემოსევას კი აღარა.

**სიტყვა III.** წერეთლის მოქმედება ძალიან ამაღელვებელია, ის არ ემზადა, მან გვამშვიდა ისე, რომ ვითომც არაფერი არააო. ჩვენ არ ვიცით სად არის ეხლა წერეთელი, რომელმაც დაგვღუპა და დაგვანგრია, მასკეს თუ არა სამართალში.

სიტყვები მგზავსი ბევრი იყო, მაგრამ მდგომარეობის დასახასიათებლათ ესეც საკმარისია.

პასუხი ყველამ მიიღო

კრებაზე საკითხი დაისვა სიმინდის შესახებ. ამხ. ლიზა ნაკაშიძემ კრებას გააცნო ისტორია იმ ფულების შესახებ, რომელიც კავშირს უშოვნია და შემდეგ სხვადასხვა ადგილებში შეუძენია სიმინდი, მხოლოდ შექმნილ პირობების გამო ჯერ-ჯერობით ვერ შემოუტანიათ.

გამოირკვა, რომ ძლიერი გაჭირვებაა მიქელგაბრიელშიც და ხალხიც უნუგეშო მდგომარეობაშია.

კრება საღამოს დაიშალა.

მიქელგაბრიელმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე: ომის გამო ყველაფერი არეულია, ოდესმე გმირული საზოგადოება შერყეულა, ორგანიზაციებიც შესუსტებულა, ბოროტი ენებიც ამუშავებულა, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, ბრძოლაში ნაწრთობი ჩვენი ამხანაგები, მაინც თავის გზით მიდიან და პირვანდელი პირობები შეცვლილა.

ნაშუადღევის სამი საათი იყო, 13 მაისს, როცა სადგურ სუფსაში მივედით. ეკლესიის გალავანში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი წითელი დროშებით.

— დღეს მოხსენებას გააკეთებს სეიმის წევრი ჩვენი ამხ. ის. რამიშვილი, განაცხადა მიტინგის თავმჯდომარემ, რასაც მოყვა ტაშის ცემა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მძიმე და ისტორიულ მომენტში ვიმყოფებით. დალაგებით, მდაბიური ენით აცნობს ხალხს მთავრობის, სეიმის მოქმედების ნამდვილ ვითარებას.

„ჩვენ მუდმივ ომის მოწინააღმდეგე პარტია ვიყავით, მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავს დაგვატეხა ის. ჩვენ ვეძებთ გამოსავალ გზას, მოვისმინეთ ორგანიზაციების და ხალხის აზრი, ეხლა ჩვენ ვდგევართ ზავის ნიადაგზე და ჩვენი დელეგაცია აწარმოებს მოლაპარაკებას ბათუმში.

როცა ჩვენ გვეკითხებიან, როგორ მოხდა ბათუმის დაცემაო, ამას ისე ვერ ავხსნით, როგორც ბევრს ჰგონია, რადგანაც აის მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე ეხლა ხსნიან ზოგიერთები.

ერთნი გაიძახიან: ჯარი არვარგოდაო, მეორენი: აფიცრებმა გვიღალატესო, მესამენი— მთავრობამ გაგვყიდაო.

ასეთი ახსნა ჩვენ იმათ დავუთმოთ, ვისიც საკუთრებაა. მართალია, იყვენ უვარგისი ჯარშიც, აფიცრობაში, მაგრამ მთავარი მიზეზი იყო, საერთო პირობები და შექმნილი მდგომარეობა.

ბრესტის ხელშეკრულებით ჩვენი ქვეყანაც განსაცდელში ჩავარდა, რუსეთის ომ ყოველივე ზღუდეები აჰყარეს და ყოველივე ცხოველი თავისუფლათ ნავარდობს ზღუდე-აყრილ რუსეთშიო.“

ასეთია იყო მომხსენებელის ერთი ადგილი.

მოხსენებით ხალხი დაკმაყოფილდა და დაიწყო შეკითხვები: შეკითხვებს მოყვა სიტყვები.

— „ჩვენ ვიბრძვით, მაგრამ დახმარებას არ გვიწევენ, ამ დღეებში სამეგრელოში ცხენებისათვის გაგვგზავნეს, მაგრამ ვერ მივიღეთო“, ამბობს ერთი ჯარის კაცი.

— „ჩვენ ბათუმიც დავკარგეთ, ყარსიც, არტაანიც. ეხლა ბრძოლის წარმოება შეუძლებელია“, ამბობს მეორე.

— „თქვენი მოქმედება გასაკვირია, იწვევთ მოხალისეებს და მობილიზაციას არ აცხადებთ, მკაცრათ არ იძახით. აქ მოდიოდენ და გაიძახოდენ—მოხალისეები, მოხალისეებიო, მაგრამ ჩვენ კარგათ უნდა ვიცოდეთ სიკვდილის მოხალისეები არავინ იქნება“. სთქვა მესამემ.

— „ამხანაგებო! ეხლი ჩვენი კამათის საგანს შეადგენს ამიერ-კავკასიის სეიმის მოქმედება.

ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება და უნდა ვსთქვათ ჩვენი სიტყვა. ჩემის აზრით სეიმის და მთავრობის მოქმედება დემოკრატიულ პრინციპის ცხოვრებაში გატარებაა და ამიტომ ჩვენ მათთან ვართ.—სთქვა მეოთხემ.

— „ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება ამხან. ის. რამიშვილისა მიმდინარე მომენტის შესახებ, მიტინგი იზიარებს სეიმის დადგენილებებს, ნდობას უცხადებს მთავრობას და აღუთქვამს დასახულ მიზნების ცხოვრებაში გასატარებლათ აქტიურ დახმარებას“. შემოდის წინადადება ამხ. ნ. კვერენჩხილაძისა.

კრება ღებულობს. წინააღმდეგი არავინ, არაა.

— „ჩვენი უკანასკნელი სიტყვა არის, რომ ჩვენ წინ დაყენებული დიდი საკითხები გვავალებს რომ ვიყვეთ ერთგულნი მტკიცე სულით. ჩვენ არ ვიცით რას გვეტყვის ხვალინდელი დღე, რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიტანს, იქნებ სხვა უბედურება მოგვევლინოს, იქნებ ისტორიამ ღირსი არ გაგვხადა არსებობისა, მაგრამ მზათ უნდა ვიყოთ და მაშინ ბრძოლაში ითქმება სიტყვა".

ასე გაათავა ისიდორემ თავისი მეორე სიტყვა.

„ჩვენ ვერაფერი შეგვაშინებს, ჩვენ დამარცხებაც ვიცით და გამარჯვებაც. შეიძლება დავიხოცოთ, შეიძლება კიდევ ბევრი მსხვერპლი გავსწიროთ, მაგრამ უიმედებო არ შეგვფერის, ვინაიდან მომავალი ჩვენია, ჩვენი გამარჯვებაც აუცილებელია, რადგანაც ასეთია ისტორიის გადაწყვეტილება".

იყო უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა და მიტინგი დაიშალა.

მიტინგის დაშლის შემდეგ გაიმართა სუფსის რაიონული კოლექტივის საგანგებო კრება. დაესწრენ ამხანაგი ჯარისკაცები.

კრებაზე გამოირკვა, რომ მდგომარეობა არც იმდენათ შერყეულია, როგორც ფიქრობენ. მოქმედებს თავდაცვის შტაბი, ს.-დ. ორგანიზაცია, მუშაობენ ამხანაგები.

კონტრ-რევოლიუციონერთა მოქმედება დაწყებულა, მაგრამ მათ ნიადაგი არ აქვთ. ლტოლვილნი ბევრია ბათუმიდან, ქობულეთიდან, გურიიდან.

ჩოჩხათს დიდი ზარალი მოსვლია უკანასკნელად ვაშნარის ომში, ერთ სოფლიდან ორმოცამდე მეომარი აღარ ჩანან.

ამხანაგ ჯარისკაცებმა ბათუმის შესახებ შემდეგი დამახასიათებელი ცნობები აღნიშნეს:

— როცა ბათუმის შესახებ შევეკითხეთ სადაც ჯერ იყო, გვიპასუხეს: ბათუმს ვაბარებთო,—სთქვა ერთმა. (ა. ს.).

— როცა მოვითხოვეთ „პულემიოტები", არტილერია, გვიპასუხეს—არ არისო.

— როცა შევეკითხეთ საომარ მზადების შესახებ, გვიბრძანეს—მტრებს არ ესროლოთო.

კრებაზე ილაპარაკეს აფხაზის მოქმედების შესახებ და სხვა.

ბათუმის დაცემამ სუფსის რაიონშიაც პირველათ შიში გამოიწვია. ამას ხელს უწყობდა ბათუმიდან გამოქცეული ჯარისკაცთა ეშელონები.

ისინი გაიძახოდენ:

— ბათუმში გაგვყიდეს, გვღალატეს, მთელი ხალხი ამოსწყვიტეს, გენერალმა პირველათ აფრიალა თეთრი დროშაო.

მოულოდნელმა ამბავმა ხალხში გამოიწვია არევ-დარევა, მაგრამ ადრე გამოირკვა სინამდვილე და ეხლა ყველა ცნობებს ბოლო მოეღო.

საერთოდ სუფსის რაიონში მოძრაობა ჩვეულებრივი „ტემპით" მიდის. ომისაგან გამოწვეულ შედეგებს თავისი დაღი დაუმჩნევია. შიმშილობის აჩრდილი აქაც თავს დასტრიალებს ხალხს.

ამასთან ავათმყოფობა, გადამდები სენი, საზარელი მოდებულია.

ბნელი ძალების წინააღმდეგ ამხედრებული არიან, ბნელ ძალებსაც არ სძინავთ და ხელსაყრელ წუთებს ელიან.

გავშორდით სუფსას. გავშორდით კმაყოფილებით, რადგანაც სუფსის რაიონი არ შერყეულა, სუფსის ამხანაგებს უკან არ დაუხევიათ, მიუხედავათ მძიმე და რთულ პირობებისა.

ანანია.

P. S. მე-VI-ე წერილში ი. გ—შვილის ნაამბობში ერთგვარი გაუგებრობაა. მაგ., სწერია: „ქ—შვილის რაზმი, რომელსაც ეახლა გურულებიც მერიიდან ვაშნარისაკენ ლომებივით დაიძრა". ასე უნდა ყოფილიყო: „გურულთა ჯარი, ჯ—ლის გვარდიასთან ერთათ ლომებივით დაიძრა ქ—შვილის ხელმძღვანელობით და მტერს მამაცურათ ეკვეთა და სხვა".

## პროვინცია

აბაშა (სამეგრელო). სწორედ რომ უშედურებას იწვევს გეჯეთი, მუხურჩა და ლეფორჩხუეს საზღვრებში მდებარე ქვათარაძის მამულის სამუშევრად განაწილების საქმე. თითოეული აქ დასახელებული სოფელი თავისთვის ეწევა და მართალიც უნდა ითქვას, რომ, როგორც გაგვიგონია გვაქვს, ეს სამივე სოფელი უმწვერვალეს სიღარიბეს განიცდიან სამუშაო ხაყანე მიწით. ეს მამული, სახელდობრ „ფიჩხერი", 132 ქცევამდეა ტერიტორიით გეჯეთის სოფელს უფრო ეკუთვნის, მაგრამ მემამულე ქვათარაძისაგან კი დიდი ხნით მუხურჩელებს და ლეფორჩხელებს ქონდათ სამუშევრათ აღებული. დღეს, რაკი მდგომარეობა შეიცვალა, გეჯეთლებსაც სურთ გაინაწილონ ის. საბუთად მოყავთ ის, რომ მამული უფრო მათ ტერიტორიაზეა. მუხურჩა ლეფორჩხუელები კი ამბობენ: რამოდენიმე ათეული წლობით ჩვენ ამ მამულს ვამუშავებთ. მიწა არ მოგვეპოვება სულ და ეხლა არას გზით არ შეგვიძლია და ვუთმოთ ვინმეს გინდ ერთი ქცევაო. ჩვენ არ ვიცით, როგორ მოხდა და სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტს ადგილობრივ ჩამოუსვლელად დაუდგენია, რომ ამ მამულიდან 46 ქცევა მიეცეს გეჯეთლებს, ხოლო დანარჩენი 61 დარჩეს მუხურჩელებს. სამაზრო სადგილ მამულო კომიტეტის ამ დადგენილებით კმაყოფილდებიან გეჯეთ-ლეფორჩხუე, მაგრამ მუხურჩელები ყაირათიანათ არავის აქედან არაფერს უთმობენ—განსაკუთრებით გეჯეთლებს და მოსალოდნელია მეზობელ სოფელთა შორის სისხლი დაიღვაროს... მაისის თერთმეტს ამ მამულის დასათვალიერებლათ და საქმის გასაგებათ ჩამოვიდა სამაზრო სადგილ მამულო კომიტეტის რწმუნებული გრ. ჰოჰუა, რომელმაც თავი შეუყარა სამივე სოფლის წარმომადგენლებს, განუმარტა მდგომარეობის სიმწვავე და ურჩია, რომ ან დაეთმოთ ერთი მეორისათვის და შერიგებულიყვნენ, ან და მოეწვიათ სულ გარეშე სოფლებიდან მედიატორები და დამორჩილებოდნენ მათს დადგენილებას მაინც. მუხურჩა ლეფორჩხუე ამაში დასთანხმდენ. მეჯეთი კი არა,—მე ჩემი მაქვს—საადგილ-მამულო კომიტეტმა რაც მარგუნოო. თუმცა ძლიერ მოხერხებულათ და ენერგიით ცდილობდა ჰოჰუა საქმის მოგვარებას, მაგრამ მაგან ვერაფერი გამოვიდა, რისთვისაც მან, ჰოჰუამ, მამულზე მუშაობა შეაჩერა მანამ, სანამ მაზრიდან განკარგულება მოუვიდოდეთ და გაემგზავრა სენაკისკენ. მეორე დღეს მაზრის წარმომადგენელს სენაკში დაედევნენ მუხურჩიდან სამი პირი, რომელთაც შემთხვევით შეხვედრიათ ამიერ კავკასიის ემისარი კაკუჯარაძე. მოუსმენია რა მუხურჩელების ჩივილი და საქმეზე ჰოჰუასი განმარტება ემისარს, ის დაპირებია ორ დღეში ჩამოსვლას და დავის საბოლოოდ ბოლოს მოღებას.

განსაცვიფრებელია, რომ სოფლის მიერ არჩეული პირები თავიანთი უბრალო კინკლაობით სოფელს სოფელზე ამხედრებენ და ანარქია შემოაქვთ.

ამხანაგებო, მიწის მუშებო! თქვენი ასეთი საქციელით ის გამოვა, რომ ნატვრას აუსრულებთ—მემამულეებს, ხოლო თქვენი თავის ცნებასთან ერთად აზიანებთ საქვეყნო საქმეს.

ამისათვის კი, ვინც არ ემორჩილება რევოლიუციონური მთავრობის დადგენილებას და თავის ნებაზე იარაღით უნდა სურვილები დაიკმაყოფილოს, მტერია მუშათა კეთილდღეობის. ეს უნდა იცოდეს ყველამ.

ყანის მუშა.

## წერილი რედაქციის მიმართ

(„სახალხო საქმე"-ს კორესპონდენტს მოქალაქე „ნ."-ს უკანასკნელი პასუხი შეკითხვებზე).

წავიკითხე თქვენი წერილი „სახალხო საქმე"-ს 212-ე ნომერში. არსებითად თქვენი წერილი ახალს არაფერს ამბობს ჩემს საწინააღმდეგოთ, ის მხოლოდ განმეორებაა იმ ბრალდებებისა, რომელიც მოთავსებული იყო ამავე გაზეთის 178-ე ნომერში. ჩემს წერილში მოვითხოვდი თქვენგან ამ ბრალდებების დამტკიცებას სამედიატორო სასამართლოთი. სამედიატორო სასამართლოს ერთის მხრით ვითომც თანხმდებით კიდეც და ამავე დროს შეკითხვებს იძლევით და მთხოვთ ჯერ პასუხი გაგცე გაზეთისავე საშუალებით. ეს კი ნიშნავს სამედიატორო სასამართლოს უარისყოფას, ვინაიდან თუ ამ შეკითხვებზე პასუხი მოგეცით სამედიატორო სასამართლო საჭირო არ იქნება. მკითხველი საზოგადოება კი ჩვენის პოლემიკით ნაკლებათ გამოარკვევდა სიმართლეს, რადგან თქვენ თქვენს წერილებში მხოლოდ ზოგადად ლაპარაკობთ ბრალდებებზე და ფაქტებით კი არ ადასტურებთ ნათქვამს.

ამბობთ: ხელთ უტყუარი ფაქტები მაქვსო. თქვენს წერილებში კი ამას ვერ ვხედავ და მევე მთხოვთ გულზე ხელის დადებით დაგიდასტუროთ ან უარვყო წამოყენებული ბრალდებები. საქმის ასე დაყენება „ადვოკატური" ხრიკია და სხვა არაფერი.

ლაპარაკობთ ჩემს დემაგოგობაზე, როდესაც მე სოც.-ფედერალისტებს შევეხე. არ ვიცი თქვენ როგორ გესმით დემაგოგობა და მე კი ახლაც ვადასტურებ ჩემი ნათქვამის სინამდვილეს და მოწმათ მოვიყვან ისტორიულ ფაქტებს თქვენის წარსულის მოღვაწეობიდან.

თქვენ უარჰყოფთ ლანძღვა-გინებას, რომ თქვენ ვითომც ჩემს მოღვაწეობას აკრიტიკებთ და არ ლანძღავთ, გეკითხებით: განა კრიტიკაა ეს, როცა თქვენ ამბობთ: მაზრის კომისარი გელაშვილი მარტო ჯამაგირის მისაღებათ ოცისთვის გამოჩნდება ხოლმე და ეს გზა მოღვაწეობისა ზედმიწევნით შეითვისაო. ეს კრიტიკა კი არ არის, ეს ადამიანის შეურაცხყოფაა. მისი ჩირქის მოცხება ტყვილა უბრალოდ და ამასთანავე ერთგვარი პროვოკაცია. სრული უფლება აქვს ყველა მოქალაქეს კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ამა თუ იმ პირის მოღვაწეობა, მხოლოდ ეს იყოს ნამდვილი, მიუდგომელი კრიტიკა.

უმთავრესად თქვენ გაწუხებთ ვ. ნაცვლიშვილის ინციდენტი, სადაც ჩემს უტაქტობას ხედავთ. გეთანხმებით, რომ ბრბომ ჩაიდინა სიმხეცე მისი მოკვლით, მიუხედავათ ამ პიროვნების მავნებლობისა, მაგრამ აქ მე რა შუაში ვარ ვერ გამიგია. თქვენ არ იცით და ვერც ჩავსწვდებით ზეპირი ლაპარაკით იმ პირობებს და იმ მიზეზებს, რასაც შედეგათ ეს სამწუხარო ფაქტი მოყვა. თქვენ იმდენათ არც კი შეიწუხეთ თავი გაგეგოთ: ვინ დაატუსაღა იგი მ. ახმეტელაშვილმა თუ ბოდბისხევის საზოგადოებამ? მიკიჟინებთ ხშირად მაზრის დატოვებას მაზრის გარეშე თუ არა უმაღლესი მთავრობის გაწვევით მე არასოდეს არ თუ წავსულვარ სადმე, ჩემი ორი ამხანაგი კომისარი მაზრაში ყოფილან სამოქმედოთ.

უმაღლესი მთავრობის განკარგულების არ ასრულება ჩემ მიერ—ეს უთუოდ თქვენ გეცოდინებათ და გთხოვთ დაამტკიცოთ ფაქტებით სასამართლოში.

ხალხში თვითგასამართლების საქმე—ეს კომისარიატის უმოქმედებაზე არაა დამოკიდებული, ამას თავის ღრმა მიზეზები აქვს და არასოდეს კომისარიატს არ დაუხევია უკან, როცა კი ცნობა მისვლია, რომ ამა და ამ სოფელში თვით გასამართლება უნდა მოხდესო. მაგალითი: გურჯაანი, ჯუგაანი, ბოდბისხევი, ბოდბე, ზემომაჩხაანი და სხვა, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ და თუ სამწუხაროდ სადმე ჰქონდა ადგილი ამგვარ თვით-გასამართლებას—ეს მომხდარა კომისარიატის გაუგებრად.

აი უმთავრესი თქვენი ბრალდებები, რომელიც საჭიროებენ თქვენ მიერ დამტკიცებას ფაქტებით. ამას კი გამოარკვევდა სასამართლო და მკითხველ საზოგადოებას აცნობდა საქმის ვითარებას. თქვენ ამ სასამართლოს თანხმდებით კიდეც და არც თანხმდებით თუ პასუხს მოგცემდით შეკითხვაზე. ჩემი პასუხი ასეთია: არც ერთ ბრალდებას საფუძვლიანათ არ ვსცნობ და გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პრესტიჟის დაცემით ხალხის თვალში. თუმცა იგივე ხალხი თქვენზე უფრო კარგათ ხედავს ჩემს მოღვაწეობას.

რაც შეეხება ხუნაშვილს და კომპანიას, რომელთაც ესარჩლებით, სამწუხაროდ თქვენდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თქვენი კაცია, თქვენს პარტიაში ითვლება და რაღაც თოფების მოტანით და ძმა-ბიჭებზე დარიგებით შეიარაღებული ბრბო შეკრა თავის რაიონში, რომელ ბრბოსთანაც უთუოდ ანგარიშის გასწორება მოუხდება კომისარიატს და თქვენ რომ მათ ექომაგებით, ეს სხვა პოლიტიკურ მოღვაწეს სიწითლეს მოგვრიდა, თქვენ ბ-ნო „ნ" კი არ ვიცი. ხუნაშვილის შესახებ მე საბუთი მაქვს, რომ ასე დაზეჯითებით გელაპარაკებით. მისი მოქმედება თვით ჩემმა თვალებმა ნახეს, მისი ნათქვამი სიტყვები ჩემმა ყურებმა გაიგონეს და კიდეც უთხარი სახალხოთ: ნათქვამზე პასუხს აგებ თქო.

დასკვნა: 1) თქვენი წერილი კრიტიკა არ არის, ეს პირებზე აგებული ბრალდებებია ჩემს გასაბიაბრუებლათ.

2) არც ერთ ბრალდებას არ ვღებულობ ჩემს თავზე, რადგან უსაფუძვლოა.

3) მოვითხოვ თქვენგან ფაქტებით დამტკიცებას სამედიატორო სასამართლოში წამოყენებულ ბრალდებებისა.

4) განაჩენი გაზეთის საშუალებით ეცნობოს მკითხველ საზოგადოებას.

5) რაც უნდა დასწეროთ პასუხს არ მოგცემთ გაზეთის საშუალებით, გარდა სამედიატორო სასამართლოსი.

6) ველი მხოლოდ მედიატორების დასახელებას თქვენგან.

7) თქვენის თანხმობის შემდეგ წამოვაყენებ იმ პირობებს, რომელსაც უნდა დაემორჩილოს მტყუანი მხარე.

8) პროვოკაციასა და უბრალო ყაჩაღობას ჩვენში ვინც ვერ არჩევს, ამას სასამართლოში დავამტკიცებთ.

სიღნაღის მაზრის კომისარი

ჰ. გელაშვილი.

## ანგარიში

მეოთხე რაიონის ს.-დ. მ. პ. კოლექტივის.

26 სექტემბრიდან 1917 წ. 1 იანვრამდე 918 წ.

შემოსავალი:

| | |
|---|---|
| 26 სექტ დარჩა კოლექტივის კასაში | 471—18 |
| შემოვიდა ერთდროული გად. 26 სექტემბრიდან 1917 წ. 1 იანვრამდე 1918 წ. 230 წევრიდან | 115—00 |
| წიგნაკი № 19 შეგროვ. ქორქაშვილის მიერ ერთდრ. და საწევ. გადასახ. | 51—40 |
| შემოწირულება | —50 |
| საწევრო გადასახადი | 940—40 |
| პროცენტები ლიტერატურიდან | 28—05 |
| პროცენტები გაზ. „ერთობიდან" | 209—80 |
| ყრილობაზე გასაგზავ დელეგ. შეგრ. | 150—75 |
| ჯამი | 1967—08 |

გასავალი:

| | |
|---|---|
| გადვიხადეთ განათებისათვის | 60—79 |
| კანცელიარიის ხარჯები | 44—30 |
| სტამბის ხარჯები | 11—00 |
| მივეცით მუშათა კლუბს | 112—13 |
| კლუბის მოსამსახურეებს | 100—00 |
| ჯამაგირი მდივანს | 350—00 |
| მივეცით მე-6 რაიონს | 188—47 |
| თფილისის კომიტეტს სოც.-დემ. | 402—00 |
| გაზეთის დამტარებელს | 634—40 |
| წვრილი ხარჯები | 3—50 |
| ჯამი | 1906—59 |

დარჩა პირველ იანვრისათვის 1918 წლ. კასაში 60 მან. 49 კ.

მდივანი მ. ბერეჟიანი.

## ცნობები

ჯარისკაცი ანანია ალექსანდრეს ძე მჟავანაძე მსახურობდა 221 სათადარიგო პოლკში. მონაწილეობას ღებულობდა ბათუმთან ბრძოლაში. მის შესახებ არავითარი ცნობები არ გვაქვს. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, 1-й лазарет 2-ой Грузинской стрѣлковой дивизіи Давиду Мжаванадзе.

სალდათი ალექსანდრე არეთას ძე შარუხია მსახურობდა 23 კავკასიის მსროლელთა პოლკში, ნოვო-არსში. ამ პოლკიდან ცნობა მიიღო მშობლებმა მის გარდაცვალების შესახებ. ეხლა კი ზოგიერთი მისი ახლომეგობრები გადმოგვცემენ თითქოს ის ცოცხალია და ტყვეთ არის წაყვანილი. თუ ვინმემ დანამდვილებით იცის რამე მის შესახებ მშობლები სთხოვს შეატყობინონ შემდეგი ადრესით: გოლოვინის პროსპექტი № 12 თფილისის კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. ბიურო, კომიტეტის მდივანს ვანო სინაურიძეს.


ჩოხატაურიდან თფილისში მგზავრობის დროს დაიკარგა „პასპორტი" მიღებული ოზურგეთის თვითმართველობიდან, რომელსაც უთავდება ვადა 1918 წელს 15 ენკენისთვეს. მეტრიკული ამოწერილობა, პარტიის მოწმობა აღებული თფილისში ამიერ-კავკასიის მარქსისტ ახალგაზრდათა ორგანიზაციიდან და სხვადასხვა საჭირო მოწმობები. მპოვნელს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგ მისამართზე: თფილისი, ქეთევანოვის ქუჩა № 22, ვასო ივანის ძე მენაბდე. (1—1)

22 მაისს ტრამვაიში დაიკარგა უბის წიგნი, „პასპორტი", სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა, რკინის გზის წლიური ბილეთი და 160 მ. მპოვნელს ვსთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს და სხვა დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ბასეინის (ნაძალადევი) ქუჩა № 23. პავლე ბარნოვს.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მიქაელოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
შინაგან სამაგვარო, საშვილოსნო და საშარდე სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი შ. ვ. ქადიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კვირაზე მიხეილის პრ. ტელეფონი 3—43. ვოგზალის საავადმყოფოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი დ. ი. ფირალიშვილი
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი შისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა ვორონცოვის ქ. № 8 (ლიფტით). ტელეფონი 14—57.

ექიმი ი. გ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3[illegible]

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალ მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი [illegible] 82. ტელ. № 3—97.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი
მიიღებს კანისა, ვენერიულისა და სი[illegible] ავადმყოფებს. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას სხვა მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი გ. დონხინი
ყოფილ იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილების ავადმყოფებს დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76. (ხაიკინის კბილის სამკურნალო)

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

დ ხარხარუაში ექიმის თანაშემწე მ. ბ. ლაშხი
იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაგარინა-ლაშხი ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებებს.

ექიმი მ. ბ. მაფშაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველდღე 3—5 ნახ. საათამდე. ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ. რაზმიეზდის ქუჩა, № 13.

ექიმი მ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქირო ავათმყოფთ საღამოს 5—[illegible] საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ალექსანდრეს ბაღის პირ. სახ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანაშვილის [illegible]

დემოკრატიულ კლუბში „მუშაკ დში"
შაბათს, 25 მაისს, ახალგ. გურულების თაოსნობით, ლტოლვილ გურულთა სასარგებლოთ მართ[ება] დიდ ლიტერატურულ და სამუსიკო
საღამოს.
1. „ვაი ყობოს" მხიარული ვოდევილი ერთ მოქმედებათ, მონაწილეობას მიიღებენ: შარაშენიძე, როსკანიშვილი და ხიმშელი.
2. დეკლამაციები და სცენები: გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხ ძე, დ. მეჩონგური, გენო და სხვები.
3. მახარაძე და ორმოცაძე თავის ამხანაგებით შეასრულებენ გურულ სიმღერებს, ფერხულს და ჩონგურს. რკინის-გზის დეპოს მუშათა მომღერალი გუნდი ვ. დედანაშვილის ლოტბარობით შეასრულებენ ქართლ-კახურ სიმღერებს.
4. ცოცხალი სურათები.
ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება ახალი კვალის რედაქციაში 5—7 საათამდე. რეჟისორი გ. შარაშანიძე.
გამგენი: ვ. მენაბდე, კ. გიორგაძე, ს. ბეიშვილი. 2—1

ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში
კვირას, 26 მაისს, დილის 11 საათზე დანიშნულია
საზოგადო დამფუძნებელი კრება
თფილისის ქართველ - ვაჭართა და მრეწველთა კავშირისა.
განსახილველი საგნებია: 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების შესახებ, 2) ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა, 3) ამორჩევა გამგეობის წევრებისა და მათ კანდიდატებისა, 4) ამორჩევა გამგეობის წევრებისა, 5) ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.
საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზედ გამოსვლას.
4—2 საორგანიზაციო კომისია.

1000 საჟ. შეშა.
(მუხა, რცხილა და წიფელა)
იყიდება გამსაღებელ-შემძენი კოოპერატივთა კავშირში.
მისამართი, მოსკოვის ქუჩა 4. დილის 10—3 საათამდე. ტელეფ. 6—22. 3—